ევროკავშირში – მხოლოდ ჩვენი ტრადიციებით!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, ცოგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუიოლებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადტისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 8 ივნისი. 2022 წ. №71 (9409) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ისევ „ვაშინგტონის კრემლის“ ვნებანი

დიდი საელჩოს სასოწარკვეთილი პატარა დიასახლისი

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ ქართველ მოსამართლეზე უპრეცედენტო ზეწოლის ფაქტი თითქოს გავატარეთ, რაღაცნაირად, ყურადღების მიღმა დავტოვეთ. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ინციდენტი თავისთავად მრავლისმთქმელია, წარმოადგენს ერთ რგოლს იმ ჯაჭვისა, რომლითაც მავანნი და მავანნი ცდილობენ ქართულ სახელმწიფოს არ მისცენ განვითარების საშუალება!..

ამ ბოლო დროს „მეჩვენება“, რომ **დოქსოპულოს რა დამოკიდებულებაც ჰქონდა „გრუზავიკზე“ შეყრილ, მიმოწერის გარეშე მოუსავლეთში გასაგზავნ დარბაისელების მიმართ, ისეთივე დამოკიდებულება აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ქალბატონ კელი დეგნანს საქართველოსა და მთელი ქართველი ხალხის მიმართ.** მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ მსგავსი გამმეტებლური დამოკიდებულების მიზეზიც, ამ ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ ორ ადამიანს, ერთი აქვთ – **დოქსოპულომ დავალება ვერ შეასრულა და გაბრაზებული ჯავრს დარბაისელებზე იყრის; ქალბატონმა დეგნანმაც დავალებები ვერ შეასრულა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, ჯავრს ქართველ ერზე იყრის.**

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ქალბატონი დეგნანის „მოღვაწეობა“ არაერთხელ გამხდარა ჩემი ანალიტიკური წერილების განხილვის საგანი. ამა წლის 7 იანვრის პუბლიკაციაში უხვად მოვიყვანე ფაქტები და არგუმენტები ქართულ სინამდვილეში ერთგვარი დეეჟავუს, ახალი ე.წ. „უფროსი ძმის“ სინდრომის ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად დამაზიანებელი გამოვლინებების შესახებ.

ყოველთვის შორს ვიყავი იმ აზრისგან, რომ ამა თუ იმ ელჩის პოზიციის განმსაზღვრელი თავისი ხასიათი, ან პირადი ინტერესები შეიძლებოდა ყოფილიყო. დღესაც **მკაფიოდ მინდა დავადასტურო, რომ ყოველი მათგანი თავისი ქვეყნის შესაბამის სამსახურებში შემუშავებული დავალებების საფუძველზე მოქმედებს.**

მოგეხსენებათ, ყველა წესს აქვს თავისი გამონაკლისები. წინამდებარე წერილის გმირის ზემდგომთა განკარგულებებზე აგებულ საქმიანობაშიც არის მომენტები, როცა პირადი სისუსტეები გამოდის ხოლმე წინა პლანზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე „წვრილმანებს“ ეხება. **ერთი ასეთია ქალბატონი დეგნანის მიერ გვარამიას მოსამართლესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.** მოსკოვის კრემლი მსგავს გადაცდომებს, **„შჩეპკი ლეტიატო“,** ასე მიაფუჩეჩებდა ხოლმე. აქაც, სამწუხაროდ, დაახლოებით იმავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

> **(სწორედ ეს არის სამარცხვინო, ძალბატონო სალომე („მულო“ და „რძალო“, ორივეს ერთად გეუბნებით), ძვეყნის ინტერესის დამაზიანებელ სიტყვებს რომ წამოისვრით ხოლმე უადგილოდ და უპრაგმონოდ, ის არის სამარცხვინო და კიდევ, გამარგველაშვილება და გალომჯარიება და სხვის დაკრულზე ცეკვა(!) სამარცხვინო, დაუნახაობაზე და უმადურობაზე აღარაფერს ვამბობ.)**

არის თემები, რასთან დაკავშირებითაც „პატარა“ სახელმწიფოების ხელისუფლებებმა ღია საუბრებისგან თავი უნდა შეიკავონ, რადგან ამგვარი აქტივობები მათ ქვეყნებს, შესაძლოა, მძიმე შედეგების სახით შემოუბრუნდეს. **ასეთ დროს, ასეთ ვითარებაში ძლიერდება ხოლმე სამოძალაძო საზოგადოებების როლი. კარგია, როცა** რობერტ სტურუა, დათო მაღრაძე, გოგა ხაინდრავა, გია გაჩეჩილაძე, ნანა კაკაბაძე, მამუკა არეშიძე, ზაზა შათირიშვილი **და მრავალი სხვა პოულობენ შესაბამის ფორმებს ფაქტებისა და მოვლენებისთვის ნამდვილი სახელების დასარქმევად.**

აშშ-ის ორი უკანასკნელი ელჩის საქმიანობისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში თავს ასე შევუძახებდი: **„კარგად მესმის, რომ (თუნდაც ჩვენ მიერ შერჩეულ) უფროს ძმასთან თანასწორი დიალოგი, სულ მცირე, გაუფრთხილებლობად უნდა შეფასდეს, მაგრამ როცა საქმე ქვეყნის ინტერესს ეხება, როცა ცამდე მართალი ხარ და როცა „გარემოებათა ერთობლიობით“ რწმუნდები, რომ ეს უფროსი ძმა არა შენი ქვეყნის ძმა, არამედ შენი ქვეყნის გამყიდველისა და დამანგრეველის „პაძელნიკი“ ყოფილა, ცოტა უნდა გარისკო და შენი, თუნდაც ჯერ მხოლოდ დე იურე, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ცოტა უნდა წაიკამათო კიდევაც.“**

რაც დრო გადის, საქმე უფრო რთულდება, ამიტომ სიმართლის პირში მთქმელები იძულებული ვხდებით, „წაკამათება“ უფრო მაღალ რეგისტრში ავწიოთ.

იხ. 3-4 გვ.

თეა წულუკიანი: ეს არის თავდასხმა ქართველ ხალხზე!

ქართველი ერი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, რასაც მოთმინებით ველოდებით და ამ მოლოდინში ვცდილობთ, ყურადღება არ მივაქციოთ კუბილიუსისნაირ, ქართველი ერის შეურაცხმყოფელ განცხადებებს, – განაცხადა კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას.

* * *

„ბატონი კუბილიუსი და ქალბატონი, გვარი აღარ მახსოვს, უკვე ძალიან შორს მიდიან და რეალურად, პირდაპირ ესხმიან თავს ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. ისინი ამ განცხადებით უკვე პირდაპირ და აგრესიულად ერევიან ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და ბატონ კუბილიუსს და მეორე ქალბატონს, საერთოდ, როგორც ჩანს, არ აინტერესებთ, ვინ არის ქართველი ხალხი და რას ფიქრობს ქართველი ხალხი. ამიტომაც, მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ჩემი მოსაზრება კი არ არის საინტერესო, რამდენადაც ქართველების აზრი. აი, აქ ბრძანდებიან ქართველები და მათ ჰკითხეთ, რას ფიქრობენ – კარგია თუ არა, როდესაც კუბილიუსი გვასწავლის ჭკუას, ვინ ავირჩიოთ ხელისუფლებაში. მისთვის ამის უფლება არავის მიუცია. ჩვენი ხელისუფლება არის არჩევნების შედეგად არჩეული, მას ნდობა გამოუცხადა ამომრჩევლის უმრავლესობამ. შესაბამისად, დემოკრატიული არჩევნების შედეგადაა ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური ძალა. ნებისმიერი თავდასხმა დემოკრატიულად სათავეში მოსულ პოლიტიკურ ძალაზე არის თავდასხმა ხალხზე, თავდასხმა სახელმწიფოსა და ქვეყანაზე. შესაბამისად, არჩევანი, რომელიც არის ბატონი კუბილიუსის მიერ დაყენებული, არის იმ ქართველი ერის შეურაცხყოფა, რომელმაც თავის ევროპულ გზაზე ძალიან ბევრი სისხლი დაღვარა, ძალიან ბევრი მსხვერპლი გაიღო და რომელიც ძალიან დიდი მისთვის დამახასიათებელი მოთმინებით ელოდება ვერდიქტს. ვერდიქტი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, დიახ, ქართველი ერი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. ჩვენ ველოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებას დიდი მოთმინებით, რა იქნება ვერდიქტი. ამ მოლოდინში ვცდილობთ, ყურადღება არ მივაქციოთ კუბილიუსისნაირ, ქართველი ერის და ჩვენი სახელმწიფოს შეურაცხმყოფელ განცხადებებს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

სალომე ზურაბიშვილი: იტალია ყველაზე მყარად გვიჭერს მხარს!

ვიცით, რომ იტალია არის ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც ყველაზე მყარად უჭერს მხარს საქართველოს ინტეგრაციას და დგას ჩვენს გვერდით ამ რთულ, მაგრამ ამ ძალიან მნიშვნელოვან გზაზე, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა იტალიის პრეზიდენტთან, სერჯო მატარელასთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

„25 წლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის პირველი სახელმწიფო ვიზიტი იტალიაში გაიმართა დღეს და ამავე დროს ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელს. ეს თარიღები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს და იტალიას აქვს არა 30-წლიანი, არამედ საუკუნოვანი ურთიერთობები.

ჩვენი ორი კულტურა და ცივილიზაცია ძალიან ბევრი საუკუნის წინ უკვე ერთმანეთს იცნობდნენ და თანამშრომლობდნენ. ვიმყოფები რომში და ალბათ ეს შემთხვევითი არ არის, სადღაც 66 წლის წინ რომის ტრაქტატების ხელმოწერით საფუძველი ჩაეყარა ერთიანი ევროპის იდეას. ეს ბევრმა ალბათ არ იცის ან დავიწყებულია, რომ ევროპის პირველი ფედერაციული კონსტიტუცია დაიწერა ქართველი პროფესორის, ქართველი ემიგრანტის, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, მიხეილ მუსხელიშვილის მიერ, ამით ჩვენ ძალიან ვამაყობთ, რადგან სადღაც ვართ ევროპის სათავეშიც კი.

საუკუნეებია, საქართველო ევროპისკენ იყურება და ამის ბევრი მაგალითი არსებობს ბოლო პერიოდში. ეს 30 წელი საქართველოს მოსახლეობა ევროპისკენ არათუ იყურება, არამედ 80%-ზე მეტი მხარს უჭერს მყარად ევროპის ინტეგრაციას, ამ პროცესს, რომელიც დღეს ჩანს ამ ჭრილში, აჩქარებული პროცესი, რომლისთვისაც ჩვენ უნდა ვიყოთ მზად. ამიტომ, ამ წარსულიდან გამომდინარე, ამ თარიღებიდან გამომდინარე, ლოგიკური და მიზანშეწონილია, რომ სწორედ აქ და ახლა, პრეზიდენტ მატარელასთან გვაქვს საშუალება, რომ კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ჩვენი ევროპული ინტეგრაციის პროცესს, იმ მოლოდინს, რაც არსებობს საქართველოში. ვიცით, რომ იტალია არის ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც ყველაზე მყარად უჭერს მხარს საქართველოს ინტეგრაციას და დგას ჩვენს გვერდით ამ რთულ, მაგრამ ამ ძალიან მნიშვნელოვან გზაზე“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

სერჯო მატარელა: თბილისი და რომი გმობენ ომს და მიესალმებიან მშვიდობიან თანაარსებობას!

იტალიის პრეზიდენტის სერჯო მატარელას განცხადებით, თბილისსა და რომს საერთაშორისო პოლიტიკის საერთო პოზიცია აქვთ.

„ისინი იზიარებენ იმ ფუნდამენტს, რომელსაც ორივე ვემყარებით, ანუ, ომის დაგმობა, მშვიდობიანი თანაარსებობა და ქვეყნის სუვერენიტეტისა და მისი პოლიტიკური საზღვრების ინტეგრაციის აღიარება. მნიშვნელოვანია ამ ფაქტების ხაზგასმა, რადგანაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას თითქოს უნდა, ხაზი გაესვას პრობლემის ძალისმიერ გადაჭრას. ეს მოხდა საქართველოში 2008 წელს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“, – განაცხადა სერჯო მატარელამ. იტალია ხაზს უსვამს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

„ჩვენ არ ვაღიარებთ საქართველოს დე ფაქტო ოკუპაციას რუსეთის მხრიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რუსეთის ფედერაციის უკრაინაში აგრესიას ძალიან დიდი გამოძახილი აქვს რეგიონში და ამან კიდევ ერთხელ დააჩქარა საქართველოსა და ევროპას შორის პარტნიორობა, საერთო ძალისხმევა რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად“...

ირდანიაში ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა წლის ბოლოს დაიწყება

– ქართული კულტურის ცენტრის პროექტირებაზე მუშაობა რამდენიმე თვეში დასრულდება და ჩვენი დიდი სურვილია, წლის ბოლოს იქ უკვე დავიწყოთ სამუშაოები, ეს არის ჩვენი გეგმა და ამის თაობაზე პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას ჩვენს მოქალაქეებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე, მდინარე იორდანესთან საქართველოსთვის მიწის გადაცემაზე საუბრისას განაცხადა. პრემიერის თქმით, სამშენებლო სამუშაოები კონცეფციისა და პროექტის მომზადებისთანავე დაიწყება.

– გადმოგვეცა მიწის ნაკვეთი მდინარესთან ძალიან ახლოს, იქვე, 10 მეტრში. ასე რომ, ჩვენ დავიწყებთ ახლა მუშაობას აქტიურად. მოგეხსენებათ, რომ კომისია გვაქვს შექმნილი, სადაც ჩართულნი იქნებიან საპატრიარქოს წარმომადგენლები. მინდა, რომ ამ კვირაში უკვე შევიკრიბოთ, პირველი შეხვედრა გავმართოთ. დავიწყოთ აქტიური მუშაობა ქართული კულტურის ცენტრის ზოგად კონცეფციაზე, პროექტირებაზე და როგორც კი მზად იქნება კონცეფცია და პროექტი, დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კონცეფციაზე, პროექტირებაზე მუშაობა დასრულდეს რამდენიმე თვეში და წლის ბოლოს იქ უკვე დავიწყოთ სამუშაოები, ეს არის ჩვენი გეგმა და, რა თქმა უნდა, ამის თაობაზე სისტემატურად მივაწვდით ინფორმაციას ჩვენს მოქალაქეებს..

ველოდებით ევროპელების სწორ გადაწყვეტილებას!

– ჩვენ ველოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებას, კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ჩვენ საკმაოდ აქტიური საგარეო პოლიტიკა ვაწარმოეთ. ჩემი დავალებით, ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ილია დარჩიაშვილი აქტიურად ელაპარაკება თავის ევროპელ კოლეგებს. მან, უკვე დღეის მდგომარეობით, გამართა 20-ზე მეტი შეხვედრა 17 კოლეგასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. ასევე, მას ამ კვირაში და მომავალ კვირაში აქვს დაგეგმილი შეხვედრები. გვქონდა ძალიან ინტენსიური საუბარი იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში, რა რეფორმები განვახორციელეთ და ზოგადად, მთელი ეს ინფორმაცია სრულად არის მიწოდებული. ასევე, მე მქონდა ძალიან აქტიური საგარეო პოლიტიკა, ძალიან ბევრი ვიზიტი განვახორციელეთ, მათ შორის, ვიყავი ბრიუსელში, მქონდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე. ჩვენ ვესაუბრებით ევროპელ კოლეგებს და რაც მთავარია, ზედმიწევნით შევასრულეთ ყველა ის ვალდებულება და პირობა, რომელიც აღებული გვქონდა ევროკავშირთან. დაწყებული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და თავისუფალი ვაჭრობის გაფორმებით, შემდეგ უვიზო რეჟიმის მიღებით, ახლა უკვე ოფიციალური განაცხადის შეტანით., ჩვენმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ვართ ერთგულნი და პირნათლად ვასრულებთ ჩვენი ხალხის დაკვეთას. რომ არა ჩვენი მთავრობა, ჩვენ არა თუ ევროკავშირში, არამედ ძალიან რთულ პირობებში ვიქნებოდით დღეს. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ჩვენს მეგობრებს, ჩვენს კოლეგებს, ევროპაშიც, ქვეყნის შიგნითაც, ყველას, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ დამსახურებაა ის, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას აქვს ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, გვაქვს უვიზო რეჟიმი ჩვენი მოქალაქეებისთვის და ახლა უკვე პატივი გვხვდა წილად, შეგვეტანა უკვე განაცხადი ოფიციალურად წევრობისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დასძინა, რომ საუბარია მხოლოდ კანდიდატის სტატუსზე და ეს არ არის წევრობა, წევრობამდე გასავლელია ძალიან დიდი და რთული გზა. მან ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებას და აღნიშნა, რომ ახლა ქვეყანა ევროპელების ბრძნულ, სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდება.

„ბორჯომის“ თანამშრომლები არ დაიჩაგრებიან!

ბორჯომის“ აქციონერი საქართველოს მთავრობა გახდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბოლო მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ეკონომიკის სამინისტრომ დაასრულა მოლაპარაკებები. ერთი კვირის თავზე მთავრობის სხდომაზე გამოვიტანთ საკითხს და ჩვენ – მთავრობა, სახელმწიფო გახდება „ბორჯომის“ აქციონერი, თანამფლობელი და ამით ეს პრობლემაც მოგვარდება“.

პრემიერმა „ბორჯომის“ დასაქმებულთა გაფიცვაზეც ისაუბრა:

„მინდა, ვუთხრა ყველას, რომ არც ერთი ჩვენი მოქალაქე არ დაიჩაგრება და ყველას სამართლიანად მოვექცევით. ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც საჭიროა“.

„ბორჯომის“ გაფიცულ თანამშრომლებს შემდეგი მოთხოვნები აქვთ:

- **49 უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლის სამსახურში დაბრუნება.**
- **ძველ სახელშეკრულებო პირობებზე დაბრუნება;**
- **3-6-თვიანი და ერთწლიანი ხანგრძლივობის ხელშეკრულებების უვადო ხელშეკრულებებით შეცვლა;**
- **იძულება, შანტაჟსა და მუქარაში შემჩნეული ადმინისტრაციის თანამშრომლების გათავისუფლება.**

ომისა და სანქციების გამო „ბორჯომმა“ მუშაობა 29 აპრილს შეაჩერა. „IDS ბორჯომის“ საკონტროლო პაკეტი „Alfa Group“-მა 2013 წელს იყიდა. „Alfa Group“-ს დამფუძნებელი სანქცირებული რუსი მილიარდერი მიხაილ ფრიდმანია.

ქარხნებში 1000 ადამიანია დასაქმებული. წარმოების შეჩერების შემდეგ კომპანიამ მათ ახალი სახელფასო პირობები შესთავაზა – თანამშრომლებს ანაზღაურება გაუნახევრდათ, ასევე ზეგანაკვეთურ შრომაში ნაცვლად არსებული 140%-ისა, 125%-ს მიიღებენ. „ბორჯომმა“ 49 თანამშრომელი, რომლებმაც ახალ პირობებს ხელი არ მოაწერეს, სამსახურიდან გაათავისუფლა.

მთავრობის
ადმინისტრაციის პრესსამსახური

„IDS ბორჯომი“: მივესალმებით პრემიერის გადაწყვეტილებას!

უკიდურესად შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, პირველ რიგში, იმ თანამშრომლების ანაზღაურება ირიცხება, ვინც ამ ეტაპზე წარმოების პროცესშია ჩართული. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია მუშაობს მინიმალური დატვირთვით, ძირითადად საქართველოს ბაზრისთვის. ასევე, გვინდა გამოვეხმაუროთ გავრცელებულ დეზინფორმაციას, თითქოსდა კომპანიას უცხო ქვეყნის მოქალაქეები აჰყავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის სიცრუე, პროცესების ესკალაციის მცდელობა და კომპანია „ბორჯომს“ არც ერთი ახალი თანამშრომელი არ დაუქირავებია.

მივესალმებით პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, კომპანია „IDS ბორჯომი“ საქართველოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შრომის ინსპექციის ჩართვის შესახებ, – ამის შესახებ „IDS ბორჯომის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც კომპანიაში განაცხადეს, შექმნილ ვითარებაში, მაშინ როდესაც ნებისმიერი ბიზნეს-კომპანია სრულ რეორგანიზაციას ჩაატარებდა, „IDS ბორჯომმა“ მასშტაბური გათავისუფლებების ნაცვლად, თანამშრომელთა 90%-ზე მეტს შეუნარჩუნა სამუშაო ადგილი.

„როგორც არაერთხელ განვაცხადეთ, ჩვენ მზად ვართ ღია დიალოგისთვის და მზად ვართ, მივაწოდოთ შრომის ინსპექციას სრული და ამომწურავი ინფორმაცია, როგორც ზოგადად კომპანიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რა ვითარებაში აღმოჩნდა და რა სირთულეებთან უწევს გამკლავება კომპანიას დაწესებული სანქციებისა, გაყინული ანგარიშებისა და ბაზრებზე გართულებული წვდომის პირობებში, ასევე კანონის სრული დაცვით განხორციელებულ რეორგანიზაციის პროცესზე, რომლის შედეგადაც კომპანიამ მაქსიმალურად შეუნარჩუნა „ბორჯომში“ დასაქმებულებს სამუშაო ადგილები. შექმნილ ვითარებაში, მაშინ როდესაც ნებისმიერი ბიზნესს კომპანია სრულ რეორგანიზაციას ჩაატარებდა, ჩვენ მივიღეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილება და, მასშტაბური გათავისუფლებების ნაცვლად, თანამშრომელთა 90%-ზე მეტს შევუნარჩუნეთ სამუშაო ადგილი, ასევე, უცვლელი დარჩა მათი სახელფასო განაკვეთი და კრიზისის მიუხედავად არ შემცირებიათ. შეიცვალა მხოლოდ არასამუშაო საათების დაანგარიშების სისტემა, თუმცა ის კვლავაც ინდუსტრიაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე უკეთესია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნამუშევარი საათების ანაზღაურება უცვლელი რჩება ყველა თანამშრომლისთვის. რაც შეეხება რეორგანიზაციის შედეგად შემცირებულ თანამშრომლებს, მათ სრულად აქვთ მიღებული კუთვნილი ხელფასი, ასევე 2-თვიანი კომპენსაცია, როგორც ამას კანონმდებლობა ითხოვს“, – ნათქვამია განცხადებაში.

დიდი საელჩოს სასოწარკვეთილი პატარა დიასპორა

ისევ „ვაშინგტონის კრემლის“ ვნებანი

(პირველი გვერდიდან)

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გამოვთქვამდი ვარაუდს, რომ **ე.წ. „ახალი გადანაწილების“ პროცესში უკრაინას და საქართველოს „საზარბაზნე ხორცის“ როლი ჰქონდათ განსაზღვრული.** წინამდებარე წერილი ადრე გამოთქმული მოსაზრებების ციტირებებით რომ არ გადავტვირთო, მკითხველს ვთხოვ, კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი ამავე გამოცემის გვერდებზე გამოქვეყნებულ წერილებს: „ორი კელი და ვაშინგტონის კრემლის ვნებანი“ და „საზარბაზნე ხორცი“. აგრეთვე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, გასული წლის 28 ოქტომბრის წერილში – „ბიძინას ბიძინასგან“ – გამოთქმული შეფასებების გახსენებაც.

როდესაც კელი დეგნანის ბიოგრაფიას გავეცანი, გულმა მაშინვე რეჩხი მიყო. აშკარა იყო, **მისი წარსული საქმიანობებიდან გამომდინარე, ქალბატონი დეგნანის მთავარი ფუნქცია ქვეყნის ევროკავშირსა და NATO-ში გაწევრებისთვის მომზადებაში დახმარება არ იქნებოდა და ვერ იქნებოდა.** ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩემი ავი წინათგრძნობა ახდა.

ვიმეორებ, როცა ვსაუბრობთ ამერიკის შეერთებული შტატების ან რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოსთან მიმართებით, უნდა გვესმოდეს, რომ **გეგმებისა და დამოკიდებულებების განმსაზღვრელი ამ ორი ზესახელმწიფოს კერძო ინტერესია, ურთიერთდაპირისპირებიდან მეტის მიღების ინტერესი** და თუ გონიერება გვიღალატებს, ორ მოჩხუბარ აქლემს შორის მოყოლილი კოზაკის ბედის გაზიარება არ აგვცდება.

ანტიდასავლურობაში დადანაშაულება რომ ავიცილო თავიდან, კიდევ ერთხელ, დედის დაფიცებით და გულზე მჯილის შემოკვრით ვიტყვი, რომ რუსეთი დღესაც ისეთივე სასტიკ და ვერაფრის მსწავლელ ბოროტების იმპერიად რჩება, როგორიც იყო საუკუნეების განმავლობაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებს რაც შეეხება, ამ მსოფლიოს უძლიერესი ზესახელმწიფოსთვის ჩვენთან ურთიერთობაში საქართველოს განვითარება და ქართველი ხალხის კეთილდღეობა რომ იყოს პრიორიტეტული, ან თუნდაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, **„დემოკრატიის შუძურად“ წოდებული პროექტისთვის არ გაგვიმეტებდა, ხოლო პროექტის ჩავარდნის შემდეგ, მას არ მისცემდა განგრძობით სახეს.** მხოლოდ ამ ერთი ფაქტის გახსენებაც საკმარისია იმ დასკვნისთვის, რომ **დიდი და პატარა ძვეყნების ურთიერთობაში „მეგობრობა“ და „პარტნიორობა“ შინაარსისგან დაცლილი სიტყვებია.** ათასწლეულების გამოცდილებამ ისიც გვასწავლა, რომ **ეს არის მხოლოდ „დიდისთვის“ სასარგებლო სიტყვები, რადგან მათი გადმოსახედიდან, „პატარის“ ფუნქცია მორჩილება და დავალებების შესრულებაა.**

ჩვენთვის ვაშინგტონიც, საბჭოთა რუსეთის მსგავსად, „ზემდგომი ინსტანცია“ რომაა, ამაში კრიზისულ სიტუაციებში, მაგალითად, ომების დროს, უფრო ვრწმუნდებით ხოლმე. კელი დეგნანის ჩამოსვლის პერიოდში ჯერ კიდევ არ ვიცოდით, ამერიკელ „მეგობრებს“ ასე დაჟინებით რად სურდათ ნაცების ხელისუფლებაში მობრუნება, რაში უნდა გამოეყენებინათ ამ ანტისახელმწიფო წარმონაქმნის უსიტყვო მორჩილება და მხოლოდ მას შემდეგ ჩავწვდით სიღრმეებს, რაც უკრაინაში ომის სუნი დატრიალდა.

დღევანდელი გადასახედიდან უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყირიმის ანექსია, დონბასში განვითარებული მოვლენები და ცნობილი მინსკის ხელშეკრულება გარდაუვალი ომის წინაპირობა იყო. თუ საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს შევაფასებთ, დანამდვილებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ივანიშვილმა, ღარიბაშვილმა, კობახიძემ, წულუკიანმა და ხელისუფლების სხვა წამყვანმა პირებმა, ჩვენგან განსხვავებით, ყველაფერი კარგად უწყოდნენ და მადლობა მათ ამისთვის.

იმის საილუსტრაციოდ, ხატოვნად რომ ვთქვათ, რა უბედურებებს გადავურჩით, **შემოგთავაზებთ იმ დავალებების მშრალ ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც კელი დეგნანმა ჯერჯერობით ვერ მოახერხა.** მანამდე, კიდევ ერთხელ გადავხედოთ იმ კონკრეტული ნაბიჯებისა და იმ ინსტრუმენტების ნუსხას, რაც გეგმების წარმატებით განხორციელებას უნდა დადებოდა საფუძვლად:

ა) სააკაშვილის, ადეიშვილისა და დამნაშავე ნაცრეჟიმის სხვა წარმომადგენლების უკრაინაში „დასაწყობება“, შესაბამისი მომენტის დადგომამდე. ეს ჩეხოვისეული, პირველ მოქმედებაში კედელზე დაკიდებული თოფია, რომელმაც დასკვნით მოქმედებაში აუცილებლად უნდა გაისროლოს;

ბ) ამ კრიმინალებისა და ძვეყნის გამყიდველებისთვის ფასის დადებისა და იმავდროულად უმძიმესი ნაცწარსულის გადაფარვის მიზნით, მათი უკრაინის პოლიტიკაში აქტიური ჩართვა და მსგავსი პრინციპით („ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალაა“!) შერჩეულ უკრაინელ „პოლიტიკოსთა“ გარკვეულ ჯგუფთან ერთიანი გუნდის შეკვრა;

გ) ძვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მძარცველის, კეზერაშვილისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემა (საქართველოში ჩადენილ დანაშაულებზე რომ არაფერი ვთქვათ, ორი მასშტაბური საერთაშორისო დანაშაულის, იარალით ვაჭრობისა და ძოლცენტრების საძმეების, გაურკვეველი ვადით მიძინება) და საქართველოსთვის მოპარული ფულის ბრუნვისთვის პირობების უზრუნველყოფა;

დ) ნაძარცვი მილიარდების ბრუნვიდან მიღებული მოგებებიდან ნაცპოლიტტელევიზიებისთვის მსხვილი ტრანშების უწყვეტობის უზრუნველყოფა;

ე) ე.წ. არასამთავრობოებისა და ე.წ. ექსპერტების პრონაცური, ანუ ანტისახელისუფლო საქმიანობის მრავალმილიონიანი გრანტებით უზრუნველყოფა;

ვ) NDI-ისა და IRI-ის, ამერიკული ე.წ. „დემოკრატიის ხელშემწყობი“ ინსტიტუტების კვლავაც პრონაცურ რელსებზე დატოვება;

ზ) ე.წ. სახალხო დამცველის ინსტიტუტის სრული მონოპოლიზება და ნაცპარტიის განუყოფელ დამატებად, პარტუჯრედად ქცევა,. და კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი წვრილმანი.

ამ ანტისახელისუფლო პლატფორმის სტრუქტურის წარმოდგენის შემდეგ, **რომლის ძირითადი მამოძრავებლებიც საქართველოდან მოპარული ფული, ამერიკელი გადამხდელების ფული და ამერიკული ოფიციალური სამთავრობო და არასამთავრობო სუბიექტებია,** შეგვიძლია ვისაუბროთ ბოლო „ხუთწლედის“ იმ ამოცანებსა და გეგმებზე, რომლის მნიშვნელოვანი (ძირითადი) ნაწილის განხორციელებაც, ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ვერ მოხერხდა.

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **გეგმის მთავარი და საბოლოო მიზანი საქართველოს რუსეთთან საომარ მოქმედებებში ჩართვა იყო,** რაც იმას ნიშნავს, რომ **საქართველოსთან დაკავშირებული გათვლები და მოლოდინები უფრო დიდი გეგმის ნაწილს წარმოადგენდა.** უკრაინაში მიმდინარე ომში დასავლური წინააღმდეგობის მოძრაობის აშკარა ლიდერი რომ ამერიკის შეერთებული შტატებია, დავას არ უნდა იწვევდეს. აქედან გამომდინარე, უდავოა ის ფაქტიც, რომ **ომის სტრატეგიისა და ტაქტიკის მთავარი ავტორიც და წარმმართველიც ეს განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე, მთელი დასავლური სამყაროს გამოკვეთილი წინამძღოლი ზესახელმწიფოა. ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, რომელიც დიდი გეგმის წარმატებას უნდა უზრუნველყოფდეს, სწორედ რომ მის „ლაბორატორიებშია“ მრავალგზის აწონილი და გაზომილი.**

როდესაც საქართველოს ხელისუფლება მეორე ფრონტთან დაკავშირებით აქცენტებს ნაცმავნებლებისა და მათი უკრაინელი „თანამოაზრეებისკენ“, **დიდ დაპირისპირებაში მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელი აქტორებისკენ** მიმართავს, ქვეტექსტში ყოველთვის სცენარის ავტორები და რეჟისორები უნდა ვიგულისხმოთ ხოლმე. ასეთია „პატარას“ სიფრთხილის ზღვარი.

ამ ფაქტებსა და არგუმენტებზე (და არა აღქმებზე) დაფუძნებული ზოგადი ანალიზის შემდეგ, დავუბრუნდეთ დიდი გეგმის საქართველოს ნაწილის ძირითად შემადგენლებს, რომელთაგან თავის დაცვასაც, **ხელისუფლებისა და ხალხის ერთობლივი ძალისხმევით** (ამას ხაზგასმით და დიდი სიამაყით ვამბობ), ჯერჯერობით ვახერხებთ:

1. გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული **ნაცოპოზიციის მხრიდან 2016-2020 წლების პერიოდში ხელისუფლებაზე შეტევის ფრონტის ხაზის მაქსიმალურ გაშლას და ამ გზით საპარლამენტო არჩევნებზე „კოალიციური“ უმრავლესობით გამარჯვებას,** განხორციელება არ ეწერა, რადგან ხალხს, ერს ვერ მოატყუებ. საფანჩატურეთი გაფარჩაკდა(!), რადგან ამომრჩეველმა ავად მოსაგონარ პოლიტიკურ ჭაობში მეორედ შესვლა არ ისურვა;

2. არჩევნების მეორე დღიდან მყისიერად ჩაირთო გეგმა „B“, ე.წ. **არჩევნების შედეგების არცნობის გეგმა.** ნაცფანჩატურმა, სამაჯურიანი მელიას ხელმძღვანელობით, ამერიკული გრანტებით დაფინანსებული ენჯეოების მიერ მომზადებულ (ციფრების მანიპულაციით შექმნილ) ყალბ ნიადაგზე, დაიწყეს ბოიკოტისა და დაუმორჩილებლობის პროცესის აგორება;

3. „მეგობრებმა“ დემოკრატიული დასავლეთიდან, კელი დეგნანისა და კარლ ჰარცელის სახით, ნაცვლად იმისა, რომ (საერთო აღიარებით სამართლიან და კონკურენტულ) არჩევნებში დამარცხებულებისთვის მკაცრად მოეთხოვათ ყოვლად უსაფუძვლო, დემოკრატიული სისტემებისთვის სრულიად უცხო და გაუგებარი დესტრუქციული ქმედებების შეჩერება და საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვა, „დიდი მეცადინეობით მოახერხეს“ გამარჯვებული ძალის, ანუ **ხელისუფლების „მოლაპარაკებების“ პროცესში ჩათრევა,** როგორც შემდგომ დავინახეთ, მათგან გარკვეული დათმობების გამოგლეჯის მიზნით;

4. დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ გეგმა „B“ წარმოადგენდა მრავალსაფეხურიან ახალ რევოლუციურ სცენარს. „დასავლეთელი მეგობრების“ მონაწილეობით გადადგმული ყველა ნაბიჯი იმის ილუსტრაცია (და იმავე დროს – ლუსტრაცია) იყო, რომ **რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მოეხდინათ ხელისუფლების ჩანაცვლება მათთვის სასურველი, უფრო სწორად, მათ გეგმებზე მორჩილად ხელისმომწერი ობიექტ-სუბიექტით.** როგორც შემდგომ გაირკვა – **საქართველოსთვის უაღრესად საზიანო გეგმებზე.** (აღნიშნულ კონტექსტში, საყურადღებოდ და დღესაც აქტუალურად მეჩვენება ჩემ მიერ გასული წლის სექტემბერში გამოქვეყნებული წერილი – „სამი კარლის კომბინაცია“).

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მოდერატორობით გამართულ „პოლიტიკურ ხოფას ბაზრობაზე“ შემოთავაზებული ხელშეკრულება შეიცავდა მხოლოდ ცალმხრივ კომპრომისებს ხელისუფლების მხრიდან, რომლის საკვანძო პუნქტიც გახლდათ ე.წ. 43%-იანი დათქმა. **გამაოგნებელია, საქართველოში თვითმიზნური კარდინალური ცვლილებების განხორციელების საპირწონედ დაიდო მთელი ევროკავშირის ავტორიტეტი დემოკრატიის პრინციპების ერთგულებასთან დაკავშირებით.** საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიბმა თვითმმართველობის არჩევნების შედეგებთან, გაუგონარი, დღემდე არნახული „ნოუ ჰაუა“. ყველა დროის დემოკრატიის მამები, ალბათ, საფლავებში ბრუნავდნენ;

5. „მოლაპარაკებების“ პარალელურად, საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში თაღლითი ბანკირებით გაძლიერებულ მძარცველთა და მწამებელთა პარტიას, ხელისუფლებიდან გადაბირებული გახარიაც მიაშველეს. სავარაუდოდ, მისი „ვერბოვკის“ პროცესი 2019 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში იღებს სათავეს, როცა გახარიამ ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრისა და შემდგომ პრემიერ-მინისტრის რანგში მოუხშირა „შეცდომების“ დაშვებას. **გადაბირებულის ამოცანას წარმოადგენდა ყველა მეთოდით, ყველაფრის კადრებით, „ქართული ოცნების“ ხმების გადაქაჩვა მინუს 43%-ის უზრუნველყოფის მიზნით;**

დიდი საელჩოს სასოწარკვეთილი პატარა დიასახლისი

(მესამე გვერდიდან) 6. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული პუნქტი და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები (ამ თემაზე ბევრჯერ მისაუბრია. ბოლოს საკმაოდ ვრცლად შევეხე 27 მაისის წერილში). მმართველ პარტიასთან დაპირისპირების ობიექტურ ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ **ქალბატონი დეგნანის მიზანს წარმოადგენდა სასამართლო სისტემაში შეღწევა მისი საყრდენი ნაცპარტიის კანდიდატებით.** საბედნიეროდ, ამასაც გადავრჩით;

7. **ქვეყნის აყირავების ბოლო აკორდი უნდა ყოფილიყო „პროექტი – მინუს 43%-ის“ დასკვნით ფაზაში „რევოლუციის ბელადის“, ძველ-ახალი მიხეილ სააკაშვილის შემოყვანა.** „ქართული ოცნების“ მიერ იუველირის დონეზე მართულმა პროცესმა საქართველოს წარსულში დაბრუნების ყველა განზრახვას ცივი წყალი გადაასხა.

არ იყო ძნელი იმის მიხვედრა, რომ კელი დეგნანის დონის ოფიცრისთვის ყველა კომპონენტში გაცამტვერებული პროექტი არ იქნებოდა და ვერ იქნებოდა დანებებისა და ბედთან შეგუების საფუძველი. **რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე მოქმედებაში მოვიდა ახალი გეგმა, რაც პირდაპირი ზეწოლით იძულებას და ამ გზით დიდი ხნის წინ დაგეგმილ „მეორე ფრონტამდე“ მისვლას განაპირობებდა.** საბედნიეროდ, ყველა მცდელობა ამაო გამოდგა, რადგან მაგრად დავდექით და მაგრად იმიტომ დავდექით, რომ **სიმართლე ჩვენ მხარეს იყო.**

საქართველოს ბედით თამაშის მსურველებს, დღეის მდგომარეობით, არსენალში დარჩათ ერთადერთი „ყუმბარა“, **პრობლემების შექმნა ევროკავშირში განაცხადის გზაზე.**

აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ წერილში სათქმელი სრულად მოგახსენეთ, ამიტომ ვრცლად აღარ შევეხები და მხოლოდ ანალიზის შემაჯამებელ დასკვნას შემოგთავაზებთ: „ეს გახლავთ რაიმე, თუნდაც თითიდან გამოწოვილი, თუნდაც სულაც მოგონილი მიზეზით, **საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატობაზე უარის თქმა“, რასაც უნდა მოჰყვეს დღემდე არნახული მასშტაბის** უკმაყოფილების ტალღის აგორება ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით და არსებული პოლიტიკური სტატუსკვოს შეცვლით და მერე... მერე, მიდი-მოვდივარ... სოხუმსა და ცხინვალში „გასეირნებით“... ერთი სიტყვით ამას **კატასტროფა** ჰქვია.“

და კიდევ – **„ევროპულ გზაზე უკრაინაზე და მოლდოვაზე გაცილებით წინ მყოფ საქართველოს განაცხადს თუ რაიმე დაბრკოლება შეხვდა, ეს იქნება** „ვაშინგტონის კრემლის“ **„დამსახურება“,** როგორც დიდი გეგმის ნაწილი“.

ჩვენ ჩვენი ფასი ვიცით და შედარებითი ანალიზების კეთებაც არ გვეშლება. გარდა ამისა, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზეც საკმაოდ ინფორმირებული ვართ. ევროპულ განაცხადთან დაკავშირებულმა პროცესმა უკვე ის სახე მიიღო, რომ ობიექტური თვალთახედვით, გამოცდის წინაშე არა საქართველო, არამედ ევროკავშირის ავტორიტეტი დგას – **რამდენად უღირთ დიდი ევროპული ოჯახის წარმომადგენლებს რუსეთ-უკრაინის ომში ქართველი ქალებისა და ბავშვების სიცოცხლის ხარჯზე გარდატეხის ილუზორული პერსპექტივის სანაცვლოდ თავისი ათწლეულობით ნაშენი იმიჯისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენება?**

მეგობრებო, ჩემო კარგო ხალხო, მოდით, ვიყოთ გულახდილები – როცა სახელმწიფოზე და სახელმწიფოებრიობაზე ვსაუბრობთ, ხომ ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ მაინც და მაინც დღეს, ევროკანდიდატობა იქნება თუ არ იქნება, ეს არ არის მთავარი. **ევროკავშირსაც, NATO-საც და თვით მშვიდობასაც კი ჩალის ფასი ექნება, თუ „სხვისი ნებით ყოფნისგან“ არ (ვერ) განვთავისუფლდებით.**

ან ამ გზით უნდა ვიაროთ, ან, როგორც დიდი მამულიშვილი იტყოდა – **„სჯობს არ ვიყოთ!“**

ბიძინა დვალი.
06.06.2022 წ.

ვახტანგ კაპანაძე:

გადაიარაღების რა შესაძლებლობები აქვს საქართველოს?!

ძართული შეიარაღებული ძალების გადაიარაღების აუცილებლობაზე თავდაცვის სპეციალისტები დიდი ხანია, საუბრობენ, თუმცა საკითხმა კიდევ მეტი აქტუალობა ვლადიმირ პუტინის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღების კონტექსტში შეიძინა. საქმე იმაშია, რომ ქართული შეიარაღების დაახლოებით 70% მოდერნიზებულ, მაგრამ მაინც საბჭოთა ტიპის იარაღზე მოდის, ხოლო ძირითადმა მომწოდებლებმა (ჩეხეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბულგარეთი) ან გახარჯეს თავიანთი მარაგები, მიაწოდეს რა უკრაინას, ან გადავიდნენ დასავლური ტიპის შეიარაღებაზე.

შესაბამისად, საქართველოს აქვს რისკი, ადრე თუ გვიან, მათ შორის, როგორც საბრძოლო მასალის, ისე სარემონტო ტექნიკის გარეშე დარჩეს. სწორედ იმიტომ, რომ ქვეყნის იარაღით მომარაგების ხაზი ღია დარჩეს, ხოლო ქართველ სამხედროებს ამ იარაღის ათვისების შესაძლებლობა ჰქონდეთ, სპეციალისტები იმგვარი ეტაპობრივი გადაიარაღების აუცილებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორც დაიწყო მაგალითად, შეიარაღებიდან საბჭოთა წარმოების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის „კალაშნიკოვის“ ამოღების პროცესი. რაც შეეხება მიზნის მიღწევის გზას, მათი ხედვით, ჯერ ქვეყანამ უნდა გააცნობიეროს და აღიაროს საფრთხე და შემდეგ აქტიურად დაიწყოს პარტნიორებთან გამოწვევებსა და საჭიროებებზე საუბარი და შემდეგ შესაძლებელი იქნება, რომ:

- **აშშ-ის შუამავლობით იარაღი შეიძინოს ქვეყანამ არა საბაზრო, არამედ მისაღებ ფასად;**
- **გაზრდილი რისკების გათვალისწინებით ითხოვოს აშშ-ის ყოველწლიური ფინანსური დახმარების გაზრდა და ამ რესურსით ისევ აშშ-ის შუამავლობით შეიძინოს იარაღი;**
- **კვლავ აშშ-ის შუამავლობით და რისკების გათვალისწინებით მოსვდეს დახმარების პროგრამაში, რაც შესაძლებელს გახდის იარაღის უსასყიდლოდ მიღებას;**
- **უკრაინას გადაეცეს საბჭოთა იარაღი და სანაცვლოდ მიიღო დასავლური ტიპის ისევე, როგორც ეს უკვე მოხდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შემთხვევაში;**
- **სხვა შემთხვევაში კი იარაღი შეიძინოს კრედიტით ისევე, როგორც საფრანგეთიდან შეიძინა ცის კონტროლის საშუალებები.**

რაც შეეხება კრიტიკულ საჭიროებებს, მაგალითად გადამდგარი გენერალ-მაიორი, საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი, „ჯეოქეისის“ მრჩეველი **ვახტანგ კაპანაძე** თვლის, რომ აუცილებელია, თავდაცვის სამინისტროში ან უსაფრთხოების საბჭოში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჯერ არსებულ შესაძლებლობებს შეაფასებს, შემდეგ განსაზღვრავს საჭიროებებს და რაოდენობას.

„საშუალებები, რომელთა აღჭურვა-შეკეთება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია, ამ ეტაპზე უნდა შენარჩუნდეს. ხოლო დანარჩენი, რომელთა შეცვლაც აუცილებელია და მარაგებიც ცოტაა, თავისთავად უნდა შეიცვალოს.

რაც შეეხება ტიპს, თანამედროვე ომში მნიშვნელოვანია საცეცხლე და სამანევრო შესაძლებლობების გაზრდა. ჩვენ არა მოდური, არამედ ეფექტური იარაღი გვჭირდება. რაც ახლა ბრენდულია, ეს ჩვენ შესაძლოა, არ გამოგვადგეს, ამიტომ სწორად და ზუსტად უნდა განისაზღვროს საჭიროება და რაოდენობა“, – ამბობს **„აქცენტთან“** გადამდგარი გენერალ-მაიორი და იქვე დასძენს, რომ „ნებისმიერ შემთხვევაში, საჰაერო დაცვის, დაზვერვის და თვალთვალის საშუალებები გვჭირდება. განსაკუთრებით, ეს ეხება უპილოტო საფრენ საშუალებებს.

კაპანაძე იზიარებს თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის აუცილებლობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელიც სადღეისოდ 1 მილიარდი ლარია:

„ახლანდელი 1 მილიარდი მე რომ გენშტაბის ხელმძღვანელი ვიყავი (2013-2016 წლებში – რედ), იმ დროის 700 მილიონია, ხოლო თუ დოლარებში გადავიყვანთ, დაახლოებით, $300 მილიონი. მაგალითად, იგივე სომხეთის თავდაცვის ბიუჯეტი $700 მილიონია, აზერბაიჯანის – $2,5 მილიარდი“.

გენერალი ფიქრობს, რომ ყველა კრიზისი იმავდროულად შესაძლებლობაცაა, ამიტომ ორმხრივ ურთიერთობებში მაქსიმალურ აქტიურობას უჭერს მხარს.

P.S. **ბრავო(!) ხუთ ქართველ მოსამართლეს იმ დიდი სოლიდარობისთვის, რაც არა მხოლოდ კოლეგის თანადგომის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პროფესიული ღირსების დაცვისა და სასამართლოს, როგორც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტის, გავლენებისგან დაცვის აქტს წარმოადგენდა.**

P.P.S. სათაურში ცნობილი ამერიკული რომანიდან და პოპულარული ამერიკული სერიალიდან ნასესხები სიტყვები, ვფიქრობ, სრულად ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც ქალბატონი კელი დეგნანი აღმოჩნდა. **„პატარა“ (არა პირდაპირი მნიშვნელობით) და „სასოწარკვეთილი“ ის ეპითეტებია, რაც ამ უდიდესი პასუხისმგებლობის მატარებელი ქალბატონის რეაქციების არაორაზროვან დამაკნინებელ დახასიათებას წარმოადგენს.**

ევროპელი ლიდერები მხარს უჭერენ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განაცხადებს ევროკავშირში გაწევრებაზე

ევროპარლამენტის პოლიტიკური ჯგუფების ლიდერებმა ერთობლივი განცხადების პროექტი შეიმუშავეს, რომელიც მხარს უჭერს უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განაცხადებს ევროკავშირში გაწევრებაზე. ინფორმაციას ამის შესახებ **რადიო თავისუფლება** ავრცელებს.

„პრეზიდენტთა კონფერენციის სახელით, ევროპის პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფების ლიდერები წევრი ქვეყნებისა და მთავრობების ლიდერებს მიმართავენ, რომლებიც ორ კვირაში, ბრიუსელში შეიკრიბებიან, რათა გადაწყვეტილება მიიღონ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განაცხადებზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ სიმამაცე, გაბედულება და ხედვა, გაუარესების პროცესში მყოფი საერთაშორისო გარემოს პირისპირ. გეოპოლიტიკური მოცემულობების ცვლილება ჩვენი მხრიდან მოქმედებას მოითხოვს. ამით ვუერთგულებთ ჩვენს პრინციპებსა და ღირებულებებს. უკრაინელები, რომელთა სამშობლოც სასტიკი თავდასხმის ქვეშაა, თუმცა მოლდოველები და ქართველებიც, რომლებიც უფრო ნათელი მომავლისკენ მიილტვიან – ელიან სიგნალს, რომ მათი ადგილი ევროპულ ოჯახშია. ამიტომაც, ეს პალატა მძლავრად მოგიწოდებთ, მისცეთ უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლისა და ხმათიჯ მიღწევების გათვალისწინებით“, – ნათქვამია ერთობლივი განცხადების პროექტში.

რას ითხოვს საქართველოს მთავრობა საკონსტიტუციო სარჩელით?!

„საქართველოს მთავრობა, საკონსტიტუციო სარჩელით ითხოვს განმარტებას, საქართველოს ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის თაობაზე“, – ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა რევაზ ჯაველიძემ განაცხადა.

„დღეს საქართველოს მთავრობამ სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს კონსტიტუციის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ორგანოთა უფლებამოსილების შესახებ დავასთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია ადგენს საპარლამენტო მმართველობის სისტემას. ამ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი უმაღლესი ორგანოა საქართველოს მთავრობა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას“. საპარლამენტო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, კონსტიტუცია ასევე განამტკიცებს არააღმასრულებელი პრეზიდენტის ინსტიტუტს - კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტს არ ანიჭებს როგორც აღმასრულებელ ძალაუფლებას, ასევე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თუ რომელი ელჩის ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მუშაობა არის კონკრეტულ ვითარებაში ყველაზე მეტად მიზანშეწონილი შესაბამის სახელმწიფოში ან ორგანიზაციაში, ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის ექსკლუზიური პრერეგატივაა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელჩების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე წარდგინებების უარყოფა არ წარმოადგენს მის კონსტიტუციური უფლებამოსილებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა საკონსტიტუციო სარჩელით ითხოვს განმარტებას, საქართველოს ელჩების და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის თაობაზე“, – აღნიშნავს რევაზ ჯაველიძე.

ირაკლი კობახიძე: სარჩელი შეეხება თანამდებობის ორ პირს – დავით ბაქრაძეს და კახა იმნაძეს!

მთავრობის სარჩელი შეეხება მხოლოდ ელჩების დანიშვნის საკითხს და არავითარ შემთხვევაში პრეზიდენტის ვიზიტებს, ვიზიტები არის განყენებული თემა, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. კობახიძის თქმით, სასამართლო განმარტავს, როგორ უნდა დაინიშნონ ელჩები და ვისი მატერიალური პრეროგატივაა მათი დანიშვნა. როგორც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, ეს კონკრეტული საქმე ვერავითარ შემთხვევაში არ და ვერ გახდება იმპიჩმენტის საფუძველი.

პრეზიდენტისთვის საქართველოს მთავრობის მხრიდან შეთავაზებულ იქნა სამი გადაწყვეტილება. ერთი ეს იყო დავით ბაქრაძის დანიშვნა გაეროში მუდმივ წარმომადგენლად, რაზეც პრეზიდენტმა განაცხადა უარი, გაუგებარია მიზეზი და იყო მოქმედი, მუდმივი წარმომადგენლის, კახა იმნაძის გადასვლა კანადაში, ამაზეც ითქვა უარი. ეს იყო იმნაძის გათავისუფლება ვადამდე, თუმცა ტექნიკური საკითხი, ივნისში ისედაც ეწურება ბატონ იმნაძეს უფლებამოსილების ვადა. უარი ითქვა ამ სამ შეთავაზებაზე – იმნაძეს ორი თვით ადრე შესწყვეტოდა უფლებამოსილება და გადასულიყო კანადაში და ბაქრაძე დანიშნულიყო გაეროში მუდმივ წარმომადგენლად. ეს წარდგინება შევიდა მთავრობის მხრიდან, საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან პრეზიდენტთან და ამაზე ითქვა უარი. შესაბამისად, სარჩელი შეეხება თანამდებობის ორ პირს, დავით ბაქრაძეს გაეროში, კახა იმნაძეს – კანადაში. ამასთან დაკავშირებით უნდა გამოიტანოს საკუთარი დასკვნა საკონსტიტუციო სასამართლომ“, – განაცხადა კობახიძემ.

თაკო ჩარკვიანი: „ნაცმოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ ხელოვნურად გააჩერა პროცესი!

ხელოვნურად გააჩერა პროცესი „ნაცმოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ, რატომ გეშინიათ ამის თქმა, არ მესმის – ამის შესახებ თაკო ჩარკვიანმა ტვ „ჯორჯიან ტაიმსის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ამაზე ცუდი არ შეიძლებოდა ნიკა მელიას პროცესისთვის გაეკეთებინა.

„რაც თქვენ თქვით, რომ ხალხი არ გამოდის, პირდაპირ ვადებ ხელს, ხელოვნურად გააჩერა პროცესი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ, რატომ გეშინიათ ამის თქმა არ მესმის. დააძინა კაცმა პროცესი, რატომ დააძინა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, ზოგი რას იფიქრებს, ზოგი რას. მე არ მიყვარს ხელოვნური ბრალდებები. არ მაინტერესებს ნებსით თუ უნებლიეთ, შედეგი მოიტანა კატასტროფული. ამაზე ცუდი არ შეიძლებოდა პროცესისთვის გაეკეთებინა, ვიდრე ნიკამ გააკეთა, თუ ეს მოუვიდა იმით, რომ ვერ არის ლიდერი, არც ეს არ არის შვება“ – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

„ბატონი ავად გამხდარა“!

საპაკაშვილი დაგადეგიდანვე ავადმყოფი იყო,

რომელი უცხოელი ექიმი უშველის მას?



„მნიშვნელოვანია, უცხოეთიდან ჩამოიყვანონ სამედიცინო ჯგუფი, რომელიც რეალურად დაუსვამს დიაგნოზს მიხეილ სააკაშვილს

ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაყვანის მოთხოვნით, ერთგვარი კამპანია **კიდევ ერთხელ გააქტიურდა. ოჯახი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, კონკრეტული სამედიცინო ჯგუფები კატეგორიულად აცხადებენ, რომ „ვივამედიში“ შეუძლებელია ყოფილმა პრეზიდენტმა შესაბამისი მკურნალობა მიიღოს. თუმცა, ხელისუფლების პოზიცია არ იცვლება, „ქართული ოცნების“ ლიდერები და იუსტიციის მინისტრი აცხადებენ, რომ სააკაშვილს შეუძლია შესაბამისი სამედიცინო მომსახურება საქართველოში მიიღოს და ის არ საჭიროებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაყვანას.**

რეალურად, რა პროცესები მიდის დღეს მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ, სამედიცინო მომსახურების მიღების თვალსაზრისით და პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ? – ეს იმ კითხვების მცირე ჩამონათვალია, რომელიც ბოლო 8 თვეა ისმის.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია უცხოეთიდან ჩამოყვანილ იქნას სამედიცინო ჯგუფი, რომელიც რეალურად დაუსვამს დიაგნოზს მიხეილ სააკაშვილს და თუ ეს ჯგუფი შეუძლებლად ჩათვლის, რომ ამ სამედიცინო სერვისის მიღება აქ შეუძლებელია, ყოფილი პრეზიდენტი უნდა გადაიყვანონ საზღვარგარეთ.

„ამ პროცესის ფონზე, რომელიც დღეს მიდის, რომ ხელისუფლებისგან ამას ითხოვენ, ვფიქრობ, არ შესრულდება, რადგან აშკარად გამოხატული მიკერძოებული მომხრეები ითხოვენ. იმისთვის, რომ ამ საკითხს დამაჯერებლობა მიეცეს, ალბათ, პოლიტიკური ინტერესის გარეშე არსებული ჯგუფებიდან უნდა გაკეთდეს ეს დასკვნა, მათ შორის უცხოეთიდან ჩამოყვანილი ჯგუფიდან. თუ ეს ჯგუფი ჩათვლის, რომ იმ პირობებით, რაც საქართველოშია, მკურნალობა შეუძლებელია, მაშინ ბუნებრივია, ასეთი კომისიის გაცემულ რეკომენდაციას მიექცევა ყურადღება ხელისუფლების მხრიდან და არა პოლიტიკურად დაინტერესებული წრეების რეკომენდაციას“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** თვლის, რომ საბოლოოდ შესაძლოა, მართლაც მოხდეს მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა უცხოეთის კლინიკაში.

„გამორიცხული არაფერია, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ კატეგორიულ უარს ამბობს, რომ დათანხმდეს სააკაშვილის გადაყვანას საზღვარგარეთ რომელიმე კლინიკაში. ამავე დროს, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უარს ამბობს, რომ შეიწყალოს სააკაშვილი, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, რომ ის გადაიყვანონ საზღვარგარეთ, თუ იქნება ექიმების შესაბამისი დასკვნა. არც „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს საპროტესტო ტალღის აგორება, თუ ბატონი მიხეილის ჯანმრთელობა გაუარესდა. გარდა ამისა, შესაძლოა გარკვეული მოთხოვნა იყოს დასავლეთის მხრიდან“.

რაც შეეხება პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** პოზიციას მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით, როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, ეს პოზიცია არ შეცვლილა. პრეზიდენტის თქმით, თუკი მისი მხრიდან მსგავსი ნაბიჯი იქნება გადადგმული, ეს საზოგადოებაში დიდ დაპირისპირებას გამოიწვევს და ქვეყანაში პოლარიზაციის გაღრმავებას ხელს შეუწყობს.

„ჩემი პოზიცია იცით შეწყალებაზე და აღარ გავიმეორებ ამას. აქაც მთავარი არის საზოგადოების პოლარიზაციის არდამატება, რაც არსებობს. სამაგიეროდ, ძალიან მნიშვნელოვანი არის ქვეყნისთვის, რომ ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობა, თუ ამის მიმართ არის კითხვები, ყველაზე იყოს პასუხი გაცემული, რომ სათანადო ყურადღება იყოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ.

იცნობთ ქართველ საზოგადოებას, იცით, რომ ეს იქნება უაღრესად დაპირისპირების ერთ-ერთი საკითხი. მანამდე სამჯერ შევიწყალე ადამიანები სწორედ იმ მიზნით, რომ ჩაექრო პოლარიზაცია, შედეგი არ იქნა მიღწეული არც მაშინ და აქ ბევრდ უფრო მძაფრად არის გამოხატული ადამიანების პოზიციები. გამომდინარე იმ ძალიან მძიმე წლებიდან, რაც საზოგადოებას ახსოვს, აქ არ შეიძლება მე ვიყო მონაწილე იმის, რამაც შეიძლება კიდევ გააღრმაოს ეს პოლარიზაცია ქვეყანაში“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ არ არის გამორიცხული, ზურაბიშვილის პოზიცია სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით გადაიხედოს, რადგან გვახსოვს ასეთი ფაქტებიც.

„ამავე საკითხზე, ადრინდელი მსჯელობის დროს, მან პრინციპულად დაუშვებლად მიიჩნია შეწყალება იქიდან გამომდინარე, რა ტიპის პრობლემებიც შექმნა სააკაშვილმა საქართველოში. მისი მმართველობით უკმაყოფილო დაზარალებული ადამიანების რიცხვი დიდია და მათ წინაშე პრეზიდენტ ზურაბიშვილს პასუხისმგებლობა აქვს. სააკაშვილისგან დაზარალებული ადამიანები მოახდენენ დესტაბილიზაციას, თუკი სააკაშვილი განთავისუფლდა.

გვახსოვს ასეთი გადახედვა შეწყალების საკითხში. უკან დახევა გამოიწვია უცხოეთის რეაქციამ უგულავას, ოქრუაშვილის და რურუას პერიოდში. მან ახსნა კიდეც, რომ შეწყალებაზე მიდის საერთაშორისო ასპარეზზე ინტერესების დასაცავად და არა იმიტომ, რომ ეს ადამიანები გათავისუფლების ღირსად მიაჩნია. ამ ფაქტიდანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ანალოგიური საერთაშორისო ზეწოლა ძალიან ძლიერი იქნება, შეიძლება პრეზიდენტის სიმტკიცე ისევ შეირყეს, მაგრამ ჯერჯერობით გარდა „ევროპის სახალხო პარტიისა“, სხვა სტრუქტურების და ქვეყნების მხრიდან სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვა არ არის წამოყენებული“...

ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძე აცხადებს, რომ ზურაბიშვილის მხრიდან სააკაშვილის შეწყალება არა თუ პოლარიზაციის გაღრმავებას, ვითარების დასტაბილურებას შეუწყობს ხელს.

„ზურაბიშვილი თავის დროზე არ აპირებდა რურუას და ოქრუაშვილის შეწყალებას, მაგრამ შეიწყალა. ამიტომაც, არ არის გამორიცხული, სააკაშვილიც იქნას შეწყალებული. თანაც, დასავლელ პარტნიორებთან ზურაბიშვილს უფრო მიესვლება, ვიდრე მმართველი პარტიის წარმომადგენლებს. ეს პოლარიზაციას არ გაამწვავებს, პირიქით, ახლა უფრო არის პოლარიზებული. თუ სააკაშვილი გადაყვანილი იქნება, ეს დაძაბულობა შესაძლოა, უფრო მეტად შესუსტდეს. თუმცა, სალომე ზურაბიშვილი „ქართული ოცნების“ წინაშე დავალებულია და შესაძლოა, ამიტომაც ვერ ბედავს გადადგას ეს ნაბიჯი“, – განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ნიკო ჩოხელი

ნუგზარ ბარამია – უკრაინაში დიდად დაფასებული მკურნალი

9 ივნისს დაბადების ოთხმოცი წელი უსრულდება უკრაინაში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ ქირურგს, პროფესორ ნუგზარ ბარამიას.

დაიბადა სენაკში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში, 1967 წელს კი კიევის ალექსანდრე ბოგომოლეცის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. პარალელურად სამედიცინო კვალიფიკაციას იმაღლებდა მეათე კლინიკურ საავადმყოფოში, უმაღლესის დამთავრების შემდეგ კი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა დაიწყო კიევის კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლის დამაარსებელი იყო გამოჩენილი საბჭოთა დასტაქარი აკადემიკოსი ალექსი შალიმოვი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გადადგა სამეცნიერო მწვერვალებისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯები ბატონმა ნუგზარმა.

1983 წელს იგი ხდება უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და აგრძელებს პაციენტებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრობლემურ საკითხთა დაუღალავ კვლევას. 1985 წლიდან დღემდე პროფესორ ნუგზარ ბარამიას პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებულია კიევის სასწრაფო დახმარების საქალაქო კლინიკურ საავადმყოფოსა და უკრაინის ჯანდაცვის სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კატასტროფების მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან. 50-წლიანი პროფესიული საქმიანობის მანძილზე მას გაკეთებული აქვს მკერდის უჯრედისა და მუცლის ღრუს 20 ათასზე მეტი წარმატებული ოპერაცია.

ბატონი ნუგზარი ასევე გახლავთ უკრაინის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორი, იკვლევს მშვიდობიან და საომარ პერიოდებში სპეციალიზებული ქირურგიული დახმარების საკითხებს, არის ორი სახელმძღვანელოს, რამდენიმე გამოგონების, 51 რაციონალიზატორული წინადადებისა და სამასზე მეტი პუბლიკაციის ავტორი. ამჟამად, როცა უკრაინაში რუსული აგრესია მძვინვარებს, პირდაპირ ფასდაუდებელია ბატონი ნუგზარის პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილება, რასაც ინტენსიურად იყენებენ საველე ჰოსპიტალებსა და სპეციალიზებულ კლინიკებში. თავის დროზე ნუგზარ ბარამიას უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სპეციალისტების საგანგებო ქვედანაყოფი, რომელიც სხვადასხვა დროს მონაწილეობდა თურქეთში, ინდოეთში, ირანშსა და პაკისტანში მომხდარი მიწისძვრებით დაზარალებულთა გადარჩენაში, ლიბიაში საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთა ევაკუაციასა და მკურნალობაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ პროფესორ ნუგზარ ბარამიას აღზრდილია არაერთი ქართველი ექიმი, რომლებიც სამედიცინო განათლებას კიევში ეუფლებოდნენ. არას ვამბობ იმ განსაკუთრებულ მზრუნველობაზე, რომელსაც იჩენდა და იჩენს იგი სამშობლოდან ჩამოსული პაციენტებისა თუ უკრაინის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა მიმართ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ნუგზარი მათი გაჭირვების ტალკვესია.

მეამაყება, რომ ჩემი თანამემამულე და უფროსი მეგობარი დიდად დაფასებული პიროვნებაა მოძმე ქვეყანაში. შთამბეჭდავია მისი ჯილდოებისა და წოდებების ნუსხა. ბატონი ნუგზარი არის უკრაინის დამსახურებული ექიმი, საერთაშორისო პრემია „ოქროს ფორტუნას“ ლაურეატი, ქალაქ კიევისა და მშობლიური სენაკის საპატიო მოქალაქე, უკრაინის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოს – იაროსლავ ბრძენის ორდენის კავალერი, მისი სახელი შეტანილია უკრაინის სამასი ყველაზე გავლენიანი პიროვნებების სიაში. ვულოცავ ძვირფას ნუგზარს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებ დღეგრძელობას, წარმატებულ და ბედნიერ წელთა მრავლობას.

რაულ ჩილაჩავა

„მიკროლაიფის“ „მწვანე კუნძულის“ გასაჭირი

პატარ-პატარა ცვლილებებს ქალაქში, ისევე, როგორც ყოველდღიურად სარკეში ჩახედვისას საკუთარ თავს, ნაკლებად ვამჩნევთ ხოლმე, მაგრამ, როცა კი სიახლის მასშტაბი მატულობს, მისი ავ-კარგი უმალ თვალშისაცემი ხდება.

ბოლო წლებში თბილისის, ფაქტობრივად, ყველა უბანში უამრავი ცვლილება რომ მოხდა, ამის მტკიცებას, ცხადია, აზრი არა აქვს, თუმცა კი, სამწუხაროდ, სახეცვლა ყოველთვის სასიკეთო არ არის, მაგრამ დღევანდელი სასაუბრო თემა რამდენადმე სხვა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმე დედაქალაქის ერთი დიდი უბნის ახლადგაკოპწიავებული მონაკვეთის პაწაწინა, „ობოლ“ ნაწილს ეხება.

თქმა არ უნდა – ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, როგორც ვაკეში ჭავჭავაძის პროსპექტი, საბურთალოზე კი პეკინის ქუჩა, დედაქალაქში, ვგონებ, არც ერთი უბანი არ შეცვლილა ასე სასიკეთოდ და ამას ყველანი ვხედავთ. ლაპარაკიც სწორედ ამ უკანასკნელის, ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩასთან კვეთაზე მეტად მყუდრო, მაგრამ ბოროტი დედინაცვლისგან დაჩაგრული კონკიას ბედში მყოფ ერთ ლამაზ მწვანე კუთხეზე გვექნება, რასაც ქალაქის თუ რაიონის მესვეურნი კარგა ხანია ვერ ან არ ამჩნევენ.

გაკოხტავებულ ქუჩაზე მრავალი საცხოვრებელი კორპუსის, ნაირ-ნაირი ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო საქონლით მოვაჭრე მოდური მაღაზიების სამეზობლოში მდებარე, არაერთი ათეული წლის ულამაზესი ნაძვის ხის ჩრდილში მოქცეული, უსაშველოდ გაბარდნილ ბუჩქნარებში ჩაფლული ამ დაახლოებით 250 კვადრატული მეტრის ფართობის სკვერის მისამართია პეკინის №15ა. ის სამედიცინო საქონლის იმპორტიორი ქართულ-შვეიცარიული ფირმის „მიკროლაიფის სახლის“ უკანა მხარესაა, აღმოსავლეთის მხრიდან კი მას პეკინის №15-ის ფასადი გადაჰყურებს. ამ სკვერის ამბავიც „მიკროლაიფის“ მეპატრონემ, ბატონმა **ომარ ლომსაძემ** შეგვატყობინა. ჩვენი ერთგული მეგობრისა და მკითხველის რედაქციისთვის დახმარებისთვის მომართვამ თავდაპირველად თითქოს კი გაგვაკვირვა, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახმა დიდად დაგვაფიქრა და დაგვადარდიანა, რამაც ამ საგაზეთო პუბლიკაციის მომზადების სურვილი წარმოშვა.

დაგვეთანხმებით, მკითხველო, მიუხედავად იმისა, რომ „მწვანეში ჩაფლული“ თბილისის სტერეოტიპი მოქალაქეთა აღქმაში საკმაოდ მჭიდროდაა გამჯდარი, პატარ-პატარა მყუდრო მოსასვენებელი ადგილებით, ვთქვათ, ისეთებით, როგორიცაა იქვე ასი მეტრის მოშორებით ცნობილი ბუკიას ბაღი, მით უმეტეს ცენტრში, დედაქალაქი მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებს. ეს მწვანე კუთხე კი, რომელიც სათანადო მოვლის შემთხვევაში წალკოტად გადაიქცევა, სადღეისოდ მეტად სავალალო მდგომარეობაშია.

პირველი, რაც იქ შესულ კაცს თვალში მოხვდება, კერძო ავტომანქანებია – მათ მფლობელებს პატარა ოაზისი სადგომად გაუხდიათ, რომელიც „მიკროლაიფის სახლის“ უკანა კედელთან ისეა მოწყობილი (თუმცა კი ალაგ-ალაგ იქ სხვანიც აჩერებენ თავიანთ „ბედაურებს“, სადაც თავისუფალ ადგილს მიაგნებენ), რომ მაღაზიისთვის საქონლის ახალი პარტიების მიღება იქიდან პრაქტიკულად შეუძლებელია.

– ამ დილით, 10 საათზე შევატყობინე საპატრულო პოლიციას, რომ უცხო მანქანების მაღაზიის კედელთან მიჯრით დაყენების გამო საქონელი ვერ მივიღეთ და სათანადო ზომების მიღება ვთხოვე, მაგრამ ახლა უკვე შუადღეს გადაცილებული დროა და ჯერაც არავინ მოსულა! – გულნაწყენმა მითხრა ბატონმა **ომარ ლომსაძემ,** როცა მასალის მომზადებისას ვეწვიე. – არადა, ცინცაძის ქუჩის მხრიდან. ჩემი ხარჯით საგანგებოდ ავტომატური შლაგბაუმიც დავაყენე, მაგრამ მეორე, პეკინის №15-ში კორპუსის მხრიდან, შემოსასვლელთან აშკარად მოძალადე ავტომფლობელებმა ბეტონის ტუმბო გასწიეს და მანქანები იქიდან შემოჰყავთ, რასაც ვერაფერს ვუხერხებ!

ასეთი ამბავია აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანებიდან მოყოლებული და წლების მანძილზე ამ პატარა სამოთხეს პატრონი ვერა და ვერ ეღირსა! აბა, შეხედეთ: მწვანე ნარგავები ისეა გაბარდნილი, კაცს თავი უსიერ ტყეში ეგონება, ამიტომაც ადგილობრივ ლოთებსა და ვიგინდარებს საზოგადოებრივ ტუალეტად აქვთ გადაქცეული, ყველა აქედან გამომდინარე „სიმშვენიერით“. ბუჩქებს გაკრეჭა უნდა და „ჯუნგლების“ მოსპობა, მაგრამ ამის გაკეთებას ვერანაირად ვახერხებ: ნარგავების ხელის ხლება საზოგაოებრივ სივრცეში სათანადო ნებართვის გარეშე ხომ არ შეიძლება! ეს ვაჟბატონები კი, სარგებლობენ იმით, რომ აქ არც ნაგვის ურნებია, არც განათება, არც არავინაა პასუხის მომკითხავი. ამიტომაც, აქვე ღრეობენ, აქვე, უკაცრავად და, ისაქმებენ, ხშირად იძინებენ კიდეც...

ამასთან, თავადაც ხედავთ: მაღაზია „მიკროლაიფის სახლის“ გვერდითი და უკანა კედლები, ისევე, როგორც №15-ის კორპუსის I სართულის ფანჯრებამდე მთელი კედელი უამრავი გრაფიტითაა „შემკული“, რომელთაგან ბევრი უხამსი შინაარსისაა. მთელი ტერიტორია კი სიგარეტის ნამწვავებით უხვადაა მოფენილი, რომლებსაც, როგორც ჩანს, ამ კუთხისადმი დამკვიდრებული აგდებული დამოკიდებულების პირობებში, ნაგვის ურნებიც რომ იდგეს, შიგნით მაინც არავინ ჩააგდებდა.

სათანადო მოვლის პირობებში კი აქაურობა მშვენიერი მყუდრო მოსასვენებელი ადგილი იქნებოდა ქალაქის შუაგულის ხვატისგან გათანგული ხალხისთვისაც და ადგილობრივი პატარებისთვისაც.

ერთი სიტყვით, აქაურობას პატრონის გამოჩენა უნდა, რომელიც ყველაფერს მოაწესრიგებდა და მოუვლიდა. თქვენც სწორედ ამიტომ მოგმართეთ, იქნებ გაზეთს მაინც მიაქციონ ყურადღება, ვისაც ჯერ არს!

ჰოდა, ჩვენც, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, მოგმართავთ, ცალკე თბილისის მერიას, ცალკე საბურთალოს რაიონის გამგეობას: იქნებ დროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოთ პეკინისა და ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩების კვეთაზე №15ა-ში მდებარე პატარა მწვანე კუნძულს, რომელსაც ასე აკლია მზრუნველი ხელი?! ამით ხომ დედაქალაქიც უფრო დამშვენდება და ადგილობრივი ამომრჩევლებიც უფრო მადლიერნი იქნებიან თქვენი, ბატონებო?!

ოთარ ტურაბელიძე

ადრონული თერაპიის ცენტრმა ახალი პარტნიორები შეიძინა

საძართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანთან და ფონდ „ქართუს“ პროექტებისა და ოპერაციების დირექტორ ვახტანგ ცაგარელთან ერთად, ბრიუსელში გამართულ რადიაციისა და ონკოლოგიის ყოველწლიურ კონფერენციაში User Meeting 2022 მიიღო მონაწილეობა, სადაც მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა რადიაციისა და ონკოლოგიის მიმართულებით არსებული სიახლეები წარმოადგინეს და რადიაციული თერაპიის თანამედროვე მეთოდების განვითარების საკითხებზე იმსჯელეს. უწყების ცნობით, კონფერენციის ფარგლებში, რომელიც გლობალური სამედიცინო ტექნოლოგიების მწარმოებელი საერთაშორისო ლიდერი კომპანია IBA-ის ორგანიზებით ჩატარდა, მიხეილ ჩხენკელის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ამერიკისა და ევროპის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებთან.

მინისტრმა ცნობილ მეცნიერებს საქართველოს განათლების სისტემის მთავარი მეგა-პროექტის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ადრონული თერაპიის ცენტრის შესახებ მიაწოდა დეტალური ინფორმაცია. მიხეილ ჩხენკელმა ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორი ბატონი ბიძინა ივანიშვილია. სწორედ მისი და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა მსოფლიო მასშტაბის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სივრცე. მიხეილ ჩხენკელის შეფასებით, უნივერსიტეტის მაღალ სტანდარტსა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხს განაპირობებს ის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ დარგში აკადემიური პროგრამების შექმნას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. მინისტრმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამ ეტაპზე მოქმედი პროგრამები მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ანალოგს წარმოადგენს. მისი თქმით, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

მაბრძელებს სრულიად საქართველოს კავშირ გიორგისა“ და ფაზისის საერო აკადემიის 2021 წლის ტრადიციულ ნომინაცია „ჩვენი დროის ადამიანების“ ნომინანტთა შემოქმედებითი ბიოგრაფიების ბეჭდვას. ჩვენი გაზეთის 26 მაისის ნომერში დაწყებულ წერილების ციკლს „სიკეთე, სიმართლე, სიყვარული“, რომლის ავტორიც ცნობილი ჟურნალისტი, კავშირ „გიორგის“ დამფუძნებელი, ბატონი გვანჯი მანია გახლავთ, მართლაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დღევანდელ ნომერში რჩეული ოცეულის ხუთ გამარჯვებულს წარმოგიდგენთ. პორტრეტების მხატვარი ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი გახლავთ, რომელიც 2020 წლის რჩეულთა ერთ-ერთი ნომინანტი გახლავთ.

იზა ვეფხვაძე

55 წლის, მსახიობი, მწერალი

იზა ვეფხვაძე ხარაგაულსა და სრულიად საქართველოში მოქმედი, სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, სცენარისტი, რეჟისორი და შემსრულებელია. თეატრის რეპერტუარშია 60-ზე მეტი საავტორო სპექტაკლი. ყველას ავტორი, რეჟისორი და წამყვანია უკვე 25 წელიწადია. თითოეული სპექტაკლი ჩვენს ქვეყანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა თუ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობას დიდი ოსტატობით ეხმიანება.

საკვირველია მისი ხელოვნების არეალი და მასშტაბები – მეცხვარეებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის, მაღალ მთებში (მაგალითად, სვანეთი – უშგული, ხევსურეთი – მუცო...) მცხოვრები თანამემამულეებისათვის გამსვლელი საღამოები და სპექტაკლები.

თეატრის უნიკალური პროექტებია „მთების ძახილი“, „გოდერძი ჩოხელი“, „ამ სიყვარულით შევცვლით სამყაროს“... პირველი ორი საქართველოს ყველა მაღალმთიანმა მხარემ ნახა. ხოლო ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი მეგობრობა-სიყვარულისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი წარმატებით იყო წარმოდგენილი საქართველოს თითქმის ყველა დაბასა თუ ქალაქში, სადაც ებრაელთა თემს უცხოვრია.

ჩვენი გმირი არის საქართველოს მრავალი საპატიო წოდებისა თუ ჯილდოს მფლობელი, ლიტერატურული კონკურსებისა თუ მხატვართა გამოფენების ორგანიზატორი, მშობლიური ხარაგაულის ბუნების, ისტორიისა და კულტურის ამსახველი წიგნების ავტორი. მათ შორის გამორჩეულია სოფელ ფარცხნალისადმი მიძღვნილი მონოგრაფია და დოკუმენტური ფილმი „ფარცხნალი – კორინთეა სამკვიდრო“ – ერთ სოფელში დაბადებული და გაზრდილი 45 გამოჩენილი მეცნიერისა და შემოქმედის I 4 აკადემიკოსისა და 41 პროფესორის თავგადასავალი.

ქეთევან გოდერძიშვილი

74 წლის, ენათმეცნიერი, ონომასტიკოსი

„პირველხარისხოვანი ონომასტიკოსი“ – ასე წარმოგვიდგენს ქეთევან გოდერძიშვილს პროფესორი მერაბ ბერიძე. იგი სულხან – საბა ორბელიანის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა – ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, მაგრამ დაკვრა ჰობად ექცა, ფილოლოგია კი – სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზად. 60-იან წლებში აღნიშნულ ინსტიტუტში ონომასტიკის სპეკკურსს უკითხავდა საქართველოში ამ დარგის ფუძემდებელი პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, მაშინ როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ენათმეცნიერების ეს უმნიშვნელოვანესი დარგი...

ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიაში. იყო იმ წარმატებულ, ასაკოვან მეცნიერთა რიცხვში, რომლებსაც ეძლეოდა პირველი კატეგორიის პენსია. პარალელურად კითხულობდა ლექციებს თანამედროვე ქართულ ენასა და ონომასტიკაში. 90-იან წლებში გახლდათ აღნიშნული უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ქართული ენის კათედრის გამგე. იქ საუნივერსიტეტო გაზეთში დააარსა რუბრიკა: „ქართველოლოგიის გამოჩენილი მოღვაწენი.“

მისი სტატიები გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოეთის საენათმეცნიერო ჟურნალებში.

ქეთევანი 5 წიგნის ავტორია. მალე გამოიცემა მეექვსე – „საქართველოს ჰიდრონიმიკონი“ (თანაავტორი). ქეთევანმა თავისი პირველი სიტყვა თქვა ონომასტიკის ორივე დარგში – ანთროპონიმიკასა და ტოპონიმიკაში, რასაც ადასტურებს ცნობილ მეცნიერთა გამოხმაურებები.

ჯერ ერთი: „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“ (მოცულობა 450 გვერდი, რედაქტორი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე) – „აღნიშნული ნაშრომის ბადალი ონომასტიკის ამ დარგში არ მოგვეპოვება,“ (პროფესორი პაატა ცხადაია);

მეორე: ,,აღმოსავლეთ საქართველოს 7 საზღვრისპირა რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“ (630 გვერდი, რედაქტორი, აკადემიკოსი რონინ მეტრეველი): „ლექსიკონი შედგენილია იმ მეთოდოლოგიით, რომელიც თავად შეიმუშავა ავტორმა და ახალი სიტყვაა ქართულ ტოპონიმიკურ ლექსიკოგრაფიაში...“ (პროფესორი მარიკა ჯიქია);

ეპოქის შესატყვისი პედაგოგიურ-საგანმანათლებლო ტალანტის გამობრწყინებაა ქეთევან გოდერძიშვილის ინოვაცია – ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო კურსი „ერუდიცია“, რომელსაც ონლაინ რეჟიმით თავად აზიარებს მოზარდებს საქართველოსა და უცხოეთში. კერძოდ, ამ კურსით ისწავლება: ბიბლია, მითოლოგია, საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, მსოფლიო საოცრებები, ცნობილ ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრები, მათი დასახელება, შინაარსი და მრავალი სხვა.

ბიძინა თავაძე

82 წლის, მეტყევე-ფიტოპათოლოგი, პუბლიცისტი



ბიძინა თავაძე – აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ინსტიტუტის თანამშრომელი, მეცნიერების აკადემიური დოქტორი; 1992-1997 წლებში ლექციებს კითხულობდა საქართველოს ხარისხის მართვის ინსტიტუტში („სამედიცინო ბიოლოგია“, „ეკოლოგიის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“); 10 წლის განმავლობაში იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის (,,სატყეო მოამბე“) რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

სამასზე მეტ სამეცნიერო შრომასა და მეთოდურ მითითებებში განხილული აქვს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა: ტყის მერქნიანი სახეობების (წაბლი, მუხა, თელა, ფიჭვი, ნაძვი...) ხმობის მიზეზები და მათი გაჯანსაღების ღონისძიებანი; მავნებელ დაავადებებისაგან ტყის დაცვის საშუალებანი; ტყის მერქნიანი სახეობების სოკოების ბიომრავალფეროვნება; ტყე და საგაზრო ეკონომიკა; თბილისის გამწვანების პრობლემები და სხვა.

ამასთანავე შვეიცარიელ კოლეგებთან თანამშრომლობით გამოავლინა მსოფლიოში გავრცელებული საშიში დაავადების – ჩვეულებრივი წაბლის კიბოს – წინააღმდეგ ბრძოლის ბიომეთოდში გამოსაყენებელი სოკოს შტამი, რომელსაც დედამიწის ზურგზე ანალოგი არ მოეპოვება, რაც მსოფლიოს მეცნიერთა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია.

რაც შეეხება პუბლიცისტიკას, როგორც მეცნიერი-პოლემისტი, ილიასეული სამეგის „მამული, ენა, სარწმუნოება“ ერთგულია. თავის წიგნებში („ვინ დაწერს ახალ ქვათა ღაღადს“, „ქართველებო, ნუღარ ვითამაშებთ ომობანას“, „თბილისის სისხლიანი დეკემბერი“, „მწვანე ნოსტალგია“...), საგაზეთო-საჟურნალო სტატიებსა და საჯარო გამოსვლებში გაანალიზებულ-გამოკვლეული აქვს ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორებიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მცხოვრებთა აბორიგენობა, საქართველოს ისტორიის დამახინჯება, ქართული ენის სიწმინდის დაცვა, რუსეთ-საქართველოს ომები, ქართული ტყის პრობლემები ...

გრიგოლ იზორია

63 წლის, მენცარი, ნანოტექნოლოგი

გრიგოლ იზორიას მოღვაწეობის უმთავრესი სფეროა ამჟამად მსოფლიოში აღიარებული, კაცობრიობისათვის სანატრელი ნანოტექნოლოგია, რომელიც რამდენიმე დარგისაგან შედგება. მათ შორისაა: ნანომეტალურგია, ნანოელექტრონიკა, ნანოსოფლის მეურნეობა, ნანომედიცინა...

ნანომეტალურგია იძლევა ლითონთა ახალ ჯგუფს. ეს არის ბუნებაში არსებულთან შედარებით ბევრად უკეთესი, უმტკიცესი და უსაფრთხო სუფთა ლითონები, რომელთა გამოყენების არეალი უსაზღვროა – საბავშვო სათამაშოებით და სამედიცინო აპარატურით დაწყებული, სამხედრო სტრატეგიული ტექნიკითა და კოსმოსური საპლანეტათაშორისო ხომალდებით დამთავრებული. ნანოელექტრონიკაშიც სიახლეები ფანტასტიკურია – მონოკრისტილებისაგან დამზადებული, დიოდებისა და ნახევარგამტარების ადგილს იკავებენ ნანოლითონისაგან დამზადებული ნახევარგამტარები და შუქდიოდები...

რაც შეეხება ნანოსოფლის მეურნეობას, სიტყვათა სიმრავლესა და მსჯელობის სიმძაფრეს ვარჩიეთ ერთი ცინცხალი მაგალითი. ბატონმა გრიგოლმა და თანამოაზრეთა ჯგუფმა სამგზის, სამ სხვადასხვა წელიწადს, სხვადასხვა ნაკვეთზე დათესეს მარცვლეული და სხვა კულტურები. მაგალითად, 1 მაისს დათესილმა სიმინდმა 1 ივლისს, ზუსტად 2 თვეში, მოგვცა უხვი მოსავალი, 1-2 ტაროს ნაცვლად, 4-5 და მეტი ტარო.

ეს ნიშნავს, რომ ამერიკულ-ქართული მცენარისათვის აუცილებელ სავეგეტაციო დროში, მიუხედავად ამინდის (კლიმატის) სავარაუდო ჭირვეულობისა, ყოველგვარი სასუქისა და შხამქიმიკატების გარეშე, შეიძლება 3 ეკოლოგიურად სუფთა, სიჯანსაღით გამორჩეული მოსავლის მიღება. იგივე ითქმის ხორბლის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხეხილის და ტყის მერქნიანი სახეობების შესახებ. მაშასადამე, მცირემიწიან, მაგრამ ნანოტექნოლოგიის მეკვლე საქართველოს, მარცლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილების პერსპექტივა ესახება...

ნანომედიცინა. ამჟამად მისი სფეროა დაავადებათა ერთობლიობა, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კლასიკური, ტრადიციული, ხალხური თუ მათი ერთობით გაწეული კომპლექსური საშუალებებით არ იკურნება. ასეთ ვითარებაში ბატონი გრიგოლისა და თანამოაზრეთა ჯგუფის ხელთ არსებული ნანოტექნოლოგია და მრავალწლიანი გამოცდილება არნახულ შედეგს იძლევა.

ისმაილ კაზიმოვი

50 წლის, ათლეტ-ფენომენი, მეფუტკრე

მრავალფეროვანია სოფელ ირგანჩაის (დმანისი) მკვიდრის ისმაილ კაზიმოვის სამეურნეო საქმიანობა: ბარვა, თესვა, თიბვა, მწყემსვა, თევზაობა, ფუტკრის მოვლა. უყვარს აგრეთვე არქიტექტურა, მშენებლობა, ვიდეოგადაღება, ფოტოხელოვნება. შვილებთან ერთად გადაღებული აქვს ასობით ხალხური დღესასწაული.

თვითონ ისმაილი თანასოფლელთა შორის გამორჩეული პიროვნებაა. შეუძლია მცირე შესვენებებით, ერთი დღის განმავლობაში გათიბოს დიდი ფართობი. დაუღლელობა, შრომის ნაყოფიერების საიდუმლოება მისი სხეულის მაგნიტურ ძალაშია. მენეჯერ-მეცენატი თუ გამოუჩნდა, მზად არის გამართოს უჩვეულო ასპარეზობა და საკუთარ სხეულზე მეტალის (ლითონის) საგნების მიმაგრების მაჩვენებლით (მაგალითად, კოვზების რაოდენობით) დაამყაროს ახალი, არსებულზე დიდად აღმატებული მსოფლიო რეკორდი.

ასევე საინტერესოა ათლეტი-ფენომენისადმი ცნობილ გამომგონებელთა და მეცნიერთა დამოკიდებულება. საქმე ეხება ადამიანის სხეულის ტემპერატურის საზომი თერმომეტრის, არტერიული წნევის მაჩვენებელი აპარატის ან სხვა მსგავსი ხელსაწყოს ანალოგის გამოგონებას, რომელიც ათლეტი-ფენომენის და მსგავსი მონაცემების მქონე სხვა პირთა მიზანმიმართული გამოკვლევებით არის შესაძლებელი. ეს იქნება სპორტული დანიშნულების, ანუ ადამიანის, როგორც ინდივიდის მაგნიტური ძალის კილოგრამებში გამზომი აპარატი.

ანალიტიკურ-გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა სიმრავლით გამორჩეულ ქვეყანაში აღნიშნული სასპორტო ნოუ-ჰაუ, ცხადია, გაკეთდება, თუკი აუროთერაპევტი, ბიოლოგი, გენეტიკოსი, ექიმი-რეაბიტოლოგი, კიბერნეტიკოსი, მეტალურგი... ერთ ჯგუფად იქნება გაერთიანებული, ქართული ნოუ-ჰაუს შექმნით ერთნაირად დაინტერესებული.

გვანჯი მანია,
მხატვარი ალ. ციხელაშვილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №66

საწვავის ფასი მთელ მსოფლიოში იზრდება. ამერიკაში, თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და დღეს ერთი გალონი ბენზინი 4 დოლარი და 60 ცენტი ღირს. გალონი სხვადასხვანაირია. ამერიკული გალონი, რომელიც თხევადი ნივთიერების საზომად გამოიყენება, თითქმის, 3,8 ლიტრია. გამოდის, ერთი ლიტრი ბენზინი ამერიკაში ახლა 1 დოლარი და 20 ცენტი ღირს, ანუ დაახლოებით, 3 ლარი და 65 თეთრი.

ბლუმბერგის მედია-კორპორაციის მონაცემებზე დაყრდნობით, ფასების ზრდა ორი ფაქტორით არის განპირობებული: პოსტპანდემიური პერიოდი და ომი უკრაინაში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ზაფხულის ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით რამდენიმე კვირაში საწვავის ფასი კიდევ უფრო გაიზრდება. ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციას, საწვავზე ფასების ზრდის გარდა, სხვა ბევრ პრობლემასთან გამკლავება უწევს. მაგალითად, ინფლაციის მაჩვენებელი მკვეთრად არის მომატებული და პრობლემა არა მხოლოდ უკრაინის ომსა და პანდემიის შედეგებშია. სირთულეებს ამერიკის შეერთებული შტატების შიდაპოლიტიკური გარემოც ქმნის.

მის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი სახელმწიფო ვალია, რამაც, წელს 30 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ვალი შესამჩნევად გაიზარდა ბაიდენის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების კვალდაკვალ. ამის მიზეზი კი პრეზიდენტისა და მისი, ანუ დემოკრატიული პარტიის, ამბიციური გეგმებია, რაც ქვეყნის მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრასა და პანდემიის შედეგად გაკოტრებული მცირე ბიზნესის გამოცოცხლებას ითვალისწინებს.

რესპუბლიკური პარტია ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა დემოკრატთა ამ გრანდიოზულ და უაღრესად ძვირადღირებულ გეგმას. უფრო მეტიც, დემოკრატთა რიგებშიც აღმოჩნდნენ ამ პოლიტიკის კრიტიკოსები, მაგრამ ბაიდენმა თავისი გაიტანა და კონგრესს მაინც დაამტკიცებინა ეს გეგმა. უკრაინის ომმა კიდევ უფრო გაართულა ამერიკის ისედაც გამწვავებული ეკონომიკური პრობლემები და ბიძგი მისცა ინფლაციას, რამაც უკვე 7-8 პროცენტი შეადგინა. 1982 წლის შემდეგ, ამერიკას მსგავსი არაფერი უნახავს. ინფლაციამ და საწვავის ფასების ზრდამ, ყველაფერი გააძვირა. შედეგად, მოსახლეობა უკვე ხმამაღლა გამოხატავს უკმაყოფილებას. მდგომარეებიდან გამოსასვლელად ამერიკელი სენატორები ბაიდენს ეკოლოგიის საკითხების მიმართ მიდგომების შეცვლასა და ნავთობის მოპოვებასა და წარმოებაზე შეზღუდვების მოხსნას უკარნახებენ.

ცნობილია, რომ ბაიდენის ეკოლოგიური გეგმა ამერიკის ზოგიერთ გეოგრაფიულ ლოკაციაში ნავთობის მოპოვების აკრძალვას გულისხმობს. წელს, ამერიკის მთავრობამ მხოლოდ 95 უფლება გასცა ამერიკაში ნავთობის მოპოვებაზე. შარშან კი – 650. თითქმის შვიდჯერ ნაკლები! ამის გამო, ბაიდენის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა კრიტიკოსმა, რესპუბლიკელმა სენატორმა ტედ კრუზმა, პრეზიდენტი პირდაპირ დაადანაშაულა საწვავის ფასებისა და ინფლაციის მკვეთრად ზრდაში. მისი თქმით, ამერიკას თვითონ შეუძლია მოიპოვოს თავისი სამყოფი ნავთობი, მაგრამ ბაიდენის გეგმები ხელს უშლის ამას, და რომ პრეზიდენტი არ ფიქრობს რიგით ამერიკელზე; მას მხოლოდ ეკოლოგია აწუხებს.

* * *

მიმდინარე პოლიტიკური, დემოგრაფიული და კლიმატური ცვლილებების გამო, მსოფლიოში წყალზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ამიტომაა, რომ არაერთი ქვეყანა, და ზოგ შემთხვევაში, მთელი რეგიონიც კი, წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. მდგომარეობას წყლის რესურსების ბუნებრივად არათანაბარი გადანაწილებაც ართულებს. წყალი ძალიან ცოტაა, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, რაც იქაური კლიმატური პრობლემებით აიხსნება. წყლის რესურსებისთვის ბრძოლა ამ რეგიონის ქვეყნებს შორის მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამწვავდა, და საკითხი დღემდე ვერ გვარდება. ნავთობითა და გაზით მდიდარი ეს ქვეყნები წყლის სერიოზულ კრიზისს განიცდიან.

ცხადია, მიმდინარეობს გზების ძიება, რომ მათ ჰიდროუსაფრთხოებას არაფერი დაემუქროს. ბევრმა, შეიძლება, არც კი იცის, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის მწვავე დაპირისპირება ხშირად წყლის რესურსის მოსაპოვებლად ხდება. მაგალითად, თურქეთის სირიასთან, ერაყთან და ირანთან დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახლავთ – წყალი! უკანასკნელი ათი წელია, რაც ირანი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის. შეიძლება ითქვას, რომ წყალი სპარსეთისთვის ეროვნული დონის პრობლემაა.

ამერიკული საწვავისა, აღმოსავლური წყლისა და ჩრდილოეთის ქალის თაობაზე...

მიზეზად კლიმატური და დემოგრაფიული ცვლილებები სახელდება. მოგეხსენებათ, ირანის მოსახლეობა ინტენსიურად იზრდება. ამის გარდა, სხვა მიზეზებიც არსებობს. ირანი მსოფლიო ლიდერია ფისტას ექსპორტში, რომლის მოყვანას დიდი რაოდენობის სარწყავი წყალი სჭირდება. ფსტა, იგივე ფისტა, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კაკლოვანი მცენარეა, რომელსაც, შეგახსენებთ, ლათინურად Pistacia ეწოდება და რუსულად Фисташка. მესხურად, თურმე, ფისტიღი ჰქვია. ირანი ითვლება მის სამშობლოდ და გამავრცელებლად.

საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, აგერ, საგარეჯოს რაიონში, ირანელთა კუთვნილი, თანამედროვე, იშვიათი სარწყავი სისტემით აღჭურვილი, ფისტას თვალუწვდენელი პლანტაციები. ირანში ამ ცნობილი და პოპულარული კულტურის დიდი რაოდენობით მოყვანის გამო უკიდურესად გაიზარდა ჰიდრორესურსების ხარჯვა ქვეყანაში. ალბათ, სწორედ ამიტომ ჰქონდა აზრი ირანული სასოფლო-სამეურნეო ბიზნესისთვის ფისტას მოსაყვანად, ნიადაგის ძიებას საქართველოში. გვალვამ ირანში ისედაც დამძიმებული წყლის დეფიციტის პრობლემა კიდევ უფრო გაამძაფრა, რამაც ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ფართომასშტაბიანი არეულობა გამოიწვია, სახელდობრ, ხუზისტანსა და ისფაჰანში. არეულობის გამკლავებას

უშიშროების ძალთა ჩარევა დასჭირდა, რასაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ათასობით დემონსტრანტი კი, ციხეში მოხვდა.

ბევრმა გლეხმა, დაჭერის შიშით, სოფელი მიატოვა და საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა. ირანის ხელისუფლება ქვეყანაში წყლის დეფიციტის გამწვავებას თურქეთს აბრალებს, და არც მწარე სიტყვებს იშურებს ხოლმე უკმაყოფილების გამოსახატავად. ეს კი, კიდევ უფრო ამძიმებს ორ ქვეყანას შორის ისედაც გართულებულ ურთიერთობას. ხელი

შარლ მიშელი: კრემლი სურსათის მარაგებს იყენებს, როგორც უჩინარ რაკეტებს განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ

შარლ მიშელმა უკრაინაში სამხედრო დანაშაულებთან ერთად, რუსეთი გლობალური სასურსათო კრიზისის შექმნაში დაადანაშაულა. ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ისაუბრა.

„რამდენიმე თვის წინ მე ვიყავი ბოროდიანკაში, სადაც რუსმა სამხედროებმა სისასტიკე ჩაიდინეს – სამხედრო დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ამ დანაშაულის ჩამდენი პირები უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან. იმისათვის, რომ მათ პასუხი ვაგებინოთ, ჩვენ გვჭირდება მტკიცებულებები, სწორედ ამიტომ, ჩვენ ახლა ვეხმარებით ამ სამხედრო დანაშაულების მტკიცებულებათა შეგროვებაში.

დაუსჯელობა გამოსავალი არ არის. ბატონო რუსეთის ელჩო, მოდით, გულწრფელი ვიყოთ. კრემლი სურსათის მარაგებს იყენებს, როგორც უჩინარ რაკეტებს განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ. რუსეთის ომის დრამატული შედეგები ვრცელდება მთელ მსოფლიოში, ეს იწვევს სურსათის გაძვირებას, ადამიანებს აღარიბებს და მთელი რეგიონების დესტაბილიზაციას ახდენს. მხოლოდ რუსეთია სრულად პასუხისმგებელი სასურსათო კრიზისზე, კრემლის სიცრუისა და დეზინფორმაციის კამპანიის მიუხედავად“, – განაცხადა შარლ მიშელმა.

მაკაცები. დანარჩენ ქვეყნებში, დანიაში, შვეიცარიაში, ფინეთსა და ისლანდიაში პირველი პირები, ან ერთ-ერთი პირველი პირი მაინც, ქალბატონები არიან. კუნძულებზეც, მათ შორის, გრენლანდიაშიც იგივე სურათია. ეს კი, ნიშნავს იმას, რომ სამყაროში, ფემინიზმის მოძლიერების კვალდაკვალ, იმ ქალთა რაოდენობაც იზრდება, ვინც თავისი ერის მართვის სათავეში მოექცა. რატომაც არა! შეიძლება, მართლა დადგა დრო, რომ ქალის სიტყვას მეტი წონა მიეცეს პოლიტიკაში და ამომრჩეველთა ნდობაც გაიზარდოს მათ მიმართ.

ამას წინათ, ფინეთის ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრ ქალზე გვქონდა საუბარი. დღეს, შვედეთის ლიდერ ქალბატონზე უნდა მოგიყვეთ. შვედეთი, ისევე, როგორც ფინეთი, მსოფლიოს ერთერთი სამაგალითო ქვეყანაა ცხოვრების დონის სიმაღლის მიხედვით. მას 55 წლის ქალბატონი, მაგდალენა ანდერსონი მართავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რანგში. იგი, 1967 წელს, სტოკჰოლმის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ უფსალაში დაიბადა მასწავლებლების ოჯახში. 2021 წელს, შვედეთში პოლიტიკური კრიზისი წარმოიშვა, რომელიც მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის ჩავარდნამ გამოიწვია. კანონი ბინის ქირის ფასების რეგულაციას ეხებოდა. კანონპროექტის ჩავარდნის გამო, კენჭისყრაზე დადგა მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხი. შედეგად, პარლამენტის უმრავლესობამ ლევენის კაბინეტი გადააყენა. გაბრაზებული ლევენი, რომელსაც საკუთარი პარტიის წევრებმაც კი არ დაუჭირეს მხარი, პარტიის ლიდერობიდან გადგა.

ჩატარდა სოციალ-დემოკრატების პარტიის რიგგარეშე ყრილობა, რომელსაც პარტიული ლიდერი და ქვეყნის მეთაური უნდა აერჩია. ყრილობამ, ორი მესამედი ხმით, პარტიის ლიდერად ქალბატონი ანდერსონი დაამტკიცა, და მას კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა. 2021 წლის 24 ნოემბერს, რიკსდაგმა, ხმათა უმრავლესობით, მაგდალენა ანდერსონი შვედეთის პრემიერ-მინისტრად აირჩია. მისი არჩევის შემდეგ კურიოზული მდგომარეობა შეიქმნა, კერძოდ, ანდერსონმა, არჩევიდან რამდენიმე საათში, მთავრობის მეთაურის პოსტი დატოვა. გადადგომის მიზეზი მწვანეთა პარტიის კოალიციიდან გასვლა გახდა.

ასეთი გადაწყვეტილება მათ მას შემდეგ მიიღეს, რაც პარლამენტმა ქვეყნის ბიუჯეტი არ დაამტკიცა. მთავრობის მიერ შეთავაზებული ბიუჯეტის დამტკიცება გადაიდო, ოღონდ, ოპოზიციის მიერ შეთავაზებული ვარიანტის უპირატესობით.

გადამდგარ პრემიერ-მინისტრ ანდერსონს კოალიციურ პარტნიორებთან მოლაპარაკებების ახალი რაუნდის ჩატარება დასჭირდა. ანდერსონი ისტორიამ დაიმახსოვრა, როგორც რამდენიმესაათიანი პრემიერი. ოთხი დღე დასჭირდა ქალბატონ ანდერსონს, რომ პარტნიორები ხელახლა მიეყვანა კენჭისყრაზე, და ის საბოლოოდ დაამტკიცეს პრემიერ-მინისტრად, თუმცა, ბევრმა დეპუტატმა მას ზურგი აქცია, რის გამოც, ანდერსონის მთავრობა უმცირესობის მთავრობაა

დღესაც. ტრადიციის მიხედვით, რიკსდაგში დამტკიცების შემდეგ, მაგდალენა ანდერსონი შვედეთის მეფე კარლ გუსტავ მეთექვსმეტის წინაშე წარდგა. აუდიენციის შემდეგ, მაგდალენა ანდერსონი, ოფიციალურად შვედეთის 45-ე პრემიერ-მინისტრი გახდა.

ნუგზარ ბ. რუხაძე
პოსტTV

ისევ ველ და დასაქმდი!

კულტურის სამინისტროსა და მის 22 ორგანიზაციაში 252 ვაკანსიაზე ახალგაზრდებისათვის სტაჟირების კონკურსი გამოცხადდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედ 22 სხვადასხვა ორგანიზაციაში ახალგაზრდა სტაჟიორთა მისაღებად კონკურსი გამოცხადდა. სამინისტროს ინფორმაციით, ვაკანტურ პოზიციათა ჯამური ოდენობა 252-ია, საიდანაც 105 სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვაკანსიებია.

სტაჟირების ხანგრძლივობა კონკრეტული პოზიციებისთვის განსაზღვრულია ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით. სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტაჟიორი დამადასტურებელ ცნობას მიიღებს.

„სტაჟიორად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომლის ასაკიც არ აღემატება 25 წელს, რომელსაც აქვს სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულის საჯარო მოსამსახურისთვის ან სსიპ-ის სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, სადაც მან უნდა გაიაროს სტაჟირება, ან იგი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის ან მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია.

წარმატებული სტაჟიორები 2023 წლის იანვრიდან დასაქმდებიან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში.

კონკურსის ფარგლებში, სამინისტროს აპარატში ცხადდება 12 ანაზღაურებადი და 10 არაანაზღაურებადი ვაკანსია, ხოლო სამინისტროს ორგანიზაციებში ჯამურად 114 ანაზღაურებადი ვაკანსია, ანაზღაურების გარეშე კი — 116.

კერძოდ:

1. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ცხადდება 22 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: ადამიანური რესურსების მართვა, საქმის წარმოება, შიდა აუდიტი, მშენებლობის ორგანიზება/მენეჯმენტი, დოკუმენტების თარგმნა, მუზეუმები და კულტურული მემკვიდრეობა, მაღალი მიღწევები და მასობრივი სპორტი, ახალგაზრდობის საკითხები, დისციპლინური წარმოება და სხვა.

2. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ცხადდება 26 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: გიდი, იურისტი, ადამიანური რესურსების მართვა, საქმისწარმოება, პროექტის კოორდინატორი/ასისტენტი, გამოფენის კოორდინატორის ასისტენტი, ფონდებში დაცული ექსპონატების მართვა.

3. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ცხადდება 17 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: რესტავრატორი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის ასისტენტი, გამოფენის კოორდინატორის ასისტენტი, ფონდებში დაცული ექსპონატების მართვა.

4. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ცხადდება 10 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: ეთნოგრაფი, გიდი, პროექტის კოორდინატორი/ასისტენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მებაღე, მეთვალყურე.

5. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ცხადდება 5 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: არქივარიუსი, ბიბლიოთეკარი, ვიზიტორთა მოზიდვის კოორდინატორი, მეთვალყურე.

6. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში ცხადდება 7 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: არქეოლოგი, გიდი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, რესტავრატორი, გრაფიკული დიზაინერი.

7. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში ცხადდება 7 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: გამოფენის კოორდინატორის ასისტენტი; საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის ასისტენტი, ფონდის მცველის ასისტენტი, ექსპოზიციონერი, მეთვალყურე.

8. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართული სპორტის მუზეუმში ცხადდება 4 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: ექსპონატების შემგროვებელი და 2 ვაკანსია შემდეგი ფუნქცია-მოვალეობებით: გიდი, ორგანიზატორი.

9. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში ცხადდება 6 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: არქეოლოგი, არქიტექტორი, ეთნოლოგი, იურისტი, ხოლო 4 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: რესტავრატორი, გიდი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ბუღალტერი/ეკონომისტი.

10. სსიპ თელავის ისტორიულ მუზეუმში ცხადდება 2 ვაკანსია მუზეუმის გიდებისათვის.

11. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში ცხადდება 30 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: ხელოვნებათმცოდნე, არქეოლოგი, არქიტექტორი, კედლის მხატვრობის სპეციალისტი, არქიტექტორ-რესტავრატორი, კონსტრუქტორი, იურისტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ადამიანური რესურსების მართვა, სახელმწიფო შესყიდვები, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება.

12. სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოში ცხადდება 12 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: საერთაშორისო ურთიერთობები, ახალგაზრდული პოლიტიკა, საგრანტო კონკურსების მართვა, საზაფხულო ბანაკების მართვის საკითხები, ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადამიანური რესურსების მართვა, სახელმწიფო შესყიდვები, ფინანსისტი, იურისტი.

13. სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცხადდება 2 ვაკანსია: გამნათებელი, გამხმოვანებელი.

14. სსიპ მესხეთის (ახალციხე) პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცხადდება 7 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადმინისტრირება; მსახიობები, სცენის მემანქანე, სცენის მუშა.

15. სსიპ შემოქმედებით საქართველოში ცხადდება 2 ვაკანსია ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით.

16. სსიპ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცხადდება 6 ვაკანსია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, იურიდიული მიმართულებით, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედიის მიმართულებით, ასევე, მსახიობების პოზიციებზე.

17. სსიპ თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებაში ცხადდება 6 ვაკანსია შემდეგი მიმართულებებით: მეთოჯინე მექანიზატორი, მხატვარ შემსრულებელი, ბუტაფორი, დეკორატორი, საშემსრულებლო ხელოვნება.

18. სსიპ ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცხადდება 6 ვაკანსია სამსახიობო ხელოვნებისა და სარეჟისორო ხელოვნების მიმართულებით.

19. სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ცხადდება 2 ვაკანსია სამსახიობო ხელოვნების მიმართულებით, ხოლო 2 ვაკანსია შემდეგი ფუნქცია-მოვალეობებით: გამხმოვანებელი და გამნათებელი.

20. სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცხადდება 9 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: გამნათებელი, სცენის მემონტაჟე, რეკვიზიტორი, ხმის რეჟისორი, ბუტაფორი.

21. სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლის — კულტურის ისტორიის მუზეუმში ცხადდება 42 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: ფონდში დაცული ექსპონატების მართვა, საგამოფენო საქმე, არქივარიუსი, ბიბლიოთეკარი, ქსოვილის რესტავრატორი, ქაღალდის რესტავრატორი, სამეურნეო მენეჯერის ასისტენტი, ფინანსისტის ასისტენტი, იურისტი, საკანცელარიო საქმიანობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მებაღე-აგრონომი.

22. სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმში ცხადდება 9 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: ფონდში დაცული ექსპონატების მართვა, კოორდინატორი, ექსპოზიციონერი, ექსკურსიამძღოლი და დარბაზის მეთვალყურე.

23. სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცხადდება 5 ვაკანსია შემდეგი მიმართულებით: გამნათებელი, ხმის ოპერატორი, ელ. შემდუღებელი, დურგალი, მკერავი“,- აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ანაზღაურებად (400-დან 650 ლარამდე), ისევე როგორც ანაზღაურების გარეშე პოზიციებზე, კანდიდატები შემდეგი საკონკურსო ეტაპების გავლის შედეგად შეირჩევიან: განაცხადების გადარჩევა, ტესტირება ან/და წერითი დავალება, გასაუბრება. კონკურსანტები შედეგების შესახებ ინფორმაციას თითოეული საკონკურსო საფეხურის დასრულების შემდეგ ელექტრონული ფოსტით მიიღებენ.

„აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ პოზიციაზე ერთდროულად არის გამოცხადებული კონკურსი ანაზღაურებად და არაანაზღაურებად სტაჟირებაზე მისაღებად, ანაზღაურებად სტაჟირებაზე წარდგენილები იქნებიან საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატი/კანდიდატები, ხოლო მომდევნო საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატიჰკანდიდატები წარდგენილები იქნებიან არაანაზღაურებად სტაჟირებაზე.

ამასთან, სტაჟირების დაწყებიდან არანაკლებ ერთი თვის გასვლის შემდეგ, არაანაზღაურებადი სტაჟიორის პოზიციაზე მყოფი პირის შეფასების (დამაკმაყოფილებელი, კარგი, ძალიან კარგი) და უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, სტაჟიორის თანხმობით მისი გადაყვანა შეიძლება ანაზღაურებადი სტაჟიორის პოზიციაზე. ასეთ შემთხვევაში, სტაჟირების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

სტაჟიორთა კონკურსის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მათი პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და სრულყოფა. ამ მიზნით, კულტურის სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები ახალგაზრდა სპეციალისტებს უქმნიან დამოუკიდებელ სამუშაო გარემოსა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისთვის საჭირო პირობებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება ელექტრონულად სსიპ — საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე — www.hr.gov.ge, კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში“.

სამჯერ დავუშვით ეს შეცდომა საქართველოში, დონბასსა და ყირიმში და ამ შეცდომას ვერ გავიმეორებთ

„ძალიან მაწუხებს ნაადრევი მოწოდებები ცეცხლის შეწყვეტის ან მშვიდობის შესახებ, რადგან ცეცხლის შეწყვეტა არ ნიშნავს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სისასტიკე დასრულდება. ჩვენ უკვე სამჯერ დავუშვით ეს შეცდომა საქართველოში, დონბასსა და ყირიმში და ამ შეცდომას ვერ გავიმეორებთ“, — აღნიშნა ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა კაია კალასმა The Guardian-თან ინტერვიუში.

გერმანია საბრძოლო ტექნიკის გადაცემაზე თავს იკავებს

გერმანიის მთავრობა უკრაინისთვის საბრძოლო ტანკების მიწოდებას არ განიხილავს, რადგან შიშობს, რომ უკრაინა მათ რუსეთზე თავდასხმისთვის გამოიყენებს. გერმანიის მთავრობასთან დაახლოებული წყაროები ამბობენ:

ოფიციალური ბერლინი შიშობს, რომ უკრაინა შეიძლება გახდეს თავდაჯერებული, თუ ფრონტზე რამდენიმე დიდ გამარჯვებას მოიპოვებს. სამხედრო წარმატების შემთხვევაში, ეიფორიაში მყოფი უკრაინა შეიძლება შევიდეს რუსეთის ტერიტორიაზე. მაშინ „გერმანული ტანკები კვლავ აღმოჩნდება რუსეთის ტერიტორიაზე“, რაც ისტორიული მიზეზების გამო გერმანიისთვის მიუღებელია. გერმანული გამოცემა წერს, რომ გერმანია ტანკების მიწოდების ჰიპოთეტური შესაძლებლობისთვისაც კი არ ემზადება და თუ, მაგალითად, შეერთებული შტატები საბოლოოდ გადაწყვეტს ტანკების უკრაინაში გაგზავნას, გერმანელებს თვეები დასჭირდებათ, სანამ თავიანთი აღჭურვილობის უკრაინაში გასაგზავნად მომზადებას შეძლებენ.

ბრიტანეთის პარლამენტი ბორის ჯონსონს ენდობა

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი არ დაუჭირა.

ბორის ჯონსონისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი 148 კონსერვატორმა დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო 211 კი წინააღმდეგ წავიდა. კენჭისყრას წინ უძღოდა მმართველი „კონსერვატიული პარტიიდან“ 54 დეპუტატის შესაბამისი მოთხოვნა. კენჭისყრა დიდ ბრიტანეთში ე.წ. ფართიგეითის სკანდალს უკავშირდებოდა, რომელიც პანდემიის დროს, ბრიტანეთის მთავრობისა და კონსერვატიული პარტიის წევრების მონაწილეობით რეგულაციების დარღვევით გამართულ წვეულებებს ეხება.

◎ ერთა ლიგა

თაობის სახელით!

გულშემატკივარი რომ აზრს გამოთქვამს, ხშირ შემთხვევაში სიმართლესთან ახლოსაა და უტყუარობის პრეტენზიაც გააჩნია.

ჰოდა, ქართული ფეხბურთის ბევრი ქომაგი თანხმდება იმაზე, რომ ქინქლაძე-არველაძე-ჯამარაულ-ქეცბაია-ცხადაძე-ნემსაძის თაობის შემდეგ ნიჭიერთა ასეთი ანსამბლი აღარ გვყოლია, მათ ტალანტს კი სწორი მიმართულების მიმცემის მოძებნა სჭირდებოდა და **ვილი სანიოლის** სახით უფალმა სწორედ



ასეთი მწვრთნელი მოგვივლინაო.

ერთა ლიგის სტარტზე გიბრალტართან განავარდების შემდეგ ემოციების მოთოკვისკენ და ზომიერი შეფასებისკენ მოგიწოდეთ — ეიფორიაში ნუ ჩავარდებით-თქო, მაგრამ ბულგარეთში დადგმული სპექტაკლი — 5:2 ისეთი ჯიუტი ფაქტია, სასხვათაშორისო მოვლენას ვერანაირად რომ ვერ ვუწოდებთ.

მართლაც, დიდი ფუფუნებაა, თითოეულ პოზიციაზე ჯანსაღი კონკურენცია საშუალებას გაძლევდეს, ვთქვათ, ლობჟანიძე, წიტაიშვილი ან თუნდაც ჯერაც ბოლომდე ვერგახსნილი ჩაკვეტაძე მჭიდრო კალენდრის გამო უმტკივნეულოდ ჩაანაცვლო და ასე საჭირო რამდენიმედღიანი ამოსუნთქვა გამოიწერო. დაუმატეთ ამას ტაქტიკურ სქემაში უპრობლემოდ გადაწყობის უნარიც და, დაგვეთანხმებით, უკვე სავსებით საფუძვლიანი ამბიცია გაგვაჩნია, ძალიან მაღლა აფრენაზეც ვიფიქროთ.

მით უფრო გასაკვირიც გახლდათ ქალაქ რაზგრადის „ლუდოგორეცის“ კუთვნილ ჰუვეფარმა არენაზე ბრძოლის დაწყებამდე ჩვენი კოლეგების მიერ ყურადღების უხერხულ მეტოქესთან სავალალო სტატისტიკაზე გამახვილება მაშინ, როცა ტკბილად გასახსენებელიც გვაქვს. და მერე როგორი!

დიახ, სწორედ ზემოთ ნახსენებმა თაობამ დასცა თბილისში სტოიჩკოვ-ბალაკოვ-ლეჩკოვის ფორმაციის მუნდიალის ნახევარფინალისტი გუნდი.

სხვათა შორის, არც რამდენიმე მწარე მარცხზე ვაპირებთ თვალის დახუჭვას და ბიჭებს იმიტომაც ვაქებთ, ღირსეული რევანშით რომ გაგვახარეს, თანაც სავსებით დამსახურებულით, რასაც მასპინძელთა თავკაცის იასენ პეტროვის თანამდებობა შეეწირა.

მოკლედ, ხვალ სკოპიეში ჩრდილოეთ მაკედონიასთანაც უნდა გავასწოროთ ძველი ანგარიშები!

საქართველო: ლორია, კვირკველია, კაშია, ხოჭოლავა, კაკაბაძე (კიტეიშვილი), აბურჯანია (გვილია), კვეკვესკირი, აზაროვი, კვარაცხელია (ყაზაიშვილი), დავითაშვილი (მამუჩაშვილი), ზივზივაძე (მიქაუტაძე).

გოლები: დავითაშვილი, აზაროვი, ზივზივაძე, კვარაცხელია (პენალტით), ყაზაიშვილი; ილიევი, სტეფანოვი.

გამოუყენებელი პენალტი: კვეკვესკირი (ძელი).

მსაჯი: ფაბიო მარესკა (იტალია).

გიბრალტარი — ჩრდილოეთ მაკედონია 0:2.

სატურნირო მდგომარეობა: საქართველო — 6, ჩრდილოეთ მაკედონია — 4, ბულგარეთი — 1, გიბრალტარი — 0 ქულა.

სხვა მატჩების შედეგები: ჩეხეთი — ესპანეთი 2:2, პორტუგალია — შვეიცარია — 4:0, სერბეთი — სლოვენია 4:1, შვედეთი — ნორვეგია 1:2 (ჰალანდი — 2 გოლი), ხორვატეთი — საფრანგეთი 1:1.

მსოფლიოს ჩემპიონატის პლეიოფი; უელსი — უკრაინა 1:0.

ამხანაგური შეხვედრა: არგენტინა — ესტონეთი 5:0 (მესი — 5 გოლი).



◎ თაობა

ტალანტების დათვალიერება

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA), საქართველოში ამერიკის საელჩოსა და კალთბურთის ეროვნული ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით, საქართველოში უკვე მე-6-ედ ტარდება ჯუნიორ ნბა-ს ლიგა, რომელშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, საკვალიფიკაციო ეტაპის ჩათვლით, 2022 წლის სეზონში 75 გუნდი და 1200-მდე 12 წლამდე ასაკის კალათბურთელი მონაწილეობს. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ჯუნიორ ნბა-ს ლიგა NBA-ს ანალოგური პრინციპით ტარდება. ლიგის თითოეული გუნდი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის თითო გუნდს წარმოადგენს. „ა“ ლიგის თამაშები დივიზიონების მიხედვით თბილისში, რუსთავში, გორში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდება, „ბ“ ლიგის თამაშებს კი მთლიანად დედაქალაქი უმასპინძლებს.

საქართველოში ყველაზე მასშტაბური ბავშვთა საკალათბურთო პროექტი — ჯუნიორ ნბა, გოგონათა და ვაჟთათვის კალათბურთის ლიგის გლობალური ახალგაზრდული პროგრამაა, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კალათბურთის პოპულარიზაციას და პერსპექტიული ახალგაზრდების აღმოჩენას. ჯუნიორ ნბა-ს ლიგა მომავალ კალათბურთელებს, მწვრთნელებსა და მშობლებს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმაონ საკალათბურთო ცოდნა და გაიზიარონ კალათბურთის თამაშით მინიჭებული სიხარული.

წლევანდელი სეზონის ჯუნიორ ნბა-ს კენჭისყრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა, სადაც ჯუნიორ ნბა-ში მონაწილე გუნდებს NBA-ს კლუბების სახელები მიენიჭათ და „ა“ და „ბ“ ლიგების მონაწილე 900-ვე კალათბურთელს NBA-განან სათამაშო ფორმები საჩუქრად გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ერთმანეთთან მრავალწლიანი და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ. თსუ-ის საკალათბურთო გუნდები მრავალი წელია წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში — სუპერლიგაში და სხვადასხვა ასაკობრივ ლიგებში და მაღალ შედეგებსაც აღწევენ.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა წელს დიდი საკალათბურთო ზეიმისთვის ემზადება. როგორც ცნობილია, 1-დან 7 სექტემბრის ჩათვლით ჩვენს დედაქალაქში ევრობასკეტ-2022 ჩატარდება, ხოლო მანამდე, 15-24 ივლისს — 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ცხადია, ასეთი მასშტაბური და მაღალი რანგის ღონისძიებების მასპინძლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა და მნიშვნელოვანია, რომ თსუ უკვე აქტიურად გახლავთ ჩართული აღნიშნულ ღონისძიებებში.

ჯუნიორ ნბა-ს კენჭისყრას მონაწილე გუნდების მწვრთნელები და კაპიტნები, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები, ეროვნული ნაკრების მოთამაშეები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. NBA-ს ქართველმა ვარსკვლავებმა და ეროვნული ნაკრების იმ მოთამაშეებმა, რომლებიც თბილისში არ იმყოფებოდნენ, სპეციალურად ჯუნიორ ნბა-ში მონაწილე ბავშვებისთვის ვიდეომიმართვები ჩაწერეს — ახალგაზრდა კალათბურთელებს სეზონის გახსნა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე, დამსწრე აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ვიქტორ სანიკიძე,** საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **სოსო გიორგაძე** და ღონისძიების მასპინძლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი ხარჯავანიძე.**

◎ ოვალური ბურთი

რაგბიშიც — „ბათუმი“...

აძამდე „ბათუმი“ და ბოლნისის „ყოჩები“ სამ-სამჯერ ფლობდნენ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს, თანაც რეგულარული სეზონის გამარჯვებულმა ზღვისპირელებმა სეზონში ერთადერთი შეხვედრა სწორედ ქვეყნის ოქართლელებთან წააგეს.

„ბათუმი — „ყოჩები“ 23:14
პირველი ტაიმი 10:6
თბილისი. „დინამო არენა“.

ქულები: ბუჯიაშვილი, ურჯუკაშვილი, შენგელია — ლელო. მამუკა ნინიძე — 2 საჯარიმო, გარდასახვა („ბათუმი“); ფოფხაძე — ლელო. მალაღურაძე — 3 საჯარიმო („ყოჩები“).

ფინალური მატჩის საუკეთესო მორაგბე — ბექა ურჯუკაშვილი („ბათუმი“).

მსაჯი — ნიკა ამაშუკელი. იგი ზედიზედ მესამედ გაუძღვა დასკვნით ბრძოლას და საქართველოს რაგბის კავშირისგან ავტომობილით დასაჩუქრდა.

შეგახსენებთ, რომ აჭარული კლუბი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია ფეხბურთში, ხოლო კალათბურთში ეროვნულ თასს დაეუფლა.

◎ ფრენბურთი

ისევ „ჯიკო“

ამას წინათ გაუწყეთ, რომ ფრენბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი ზედიზედ მესამედ მოიგო „ცაგერმა“, ამ დღეებში კი ქვეყნის უძლიერესი გუნდი ქალებმაც გამოავლინეს.

ესაა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი „ჯიკო“, რომელმაც ნახევარფინალში ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები დაამარცხა — 3:0, ხოლო ფინალში მასპინძელ „ბათუმს“ სძლია — 3:1. მესამე პრიზიორია „თბილისი“.

◎ კორტზე

მონარქია სრულდება?

როლან გაროსზე — მე-14, დიდ სლემზე — 22-ე და მთლიანად კარიერაში — 92-ე ტრიუმფის შემდეგ 36 წლის გრუნტის მეფემ რაფაელ ნადალმა პრეს-კონფერენცია დააანონსა, რამაც ბევრს აფიქრებინა, რომ ტრავმებით გატანჯული ესპანელი ლეგენდა კორტს სამუდამოდ ტოვებდა, მაგრამ...

ისე, მალიორკელიც ადამიანია — არაა გამორიცხული, მართლაც გადაიწვა, გნებავთ — გაცვთა. ბოლოსდაბოლოს, რკინა იჟანგება...

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, ქედი მოვიხაროთ პირენეელი გენიოსის დიდების წინაშე და თვალი გადავავლოთ მისი, შესაძლოა, უკანასკნელი ტიტულისკენ მიმავალი ბილიკის დასკვნით ზიგზაგებს: კანადელ ოჟიე ალიასიმთან მერვედფინალში — 3:2, მთავარ მეტოქე სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან მეოთხედფინალში — 3:1 (ამ გამარჯვებით მათი ისტორიული ქიშპის ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა — 29:30), გერმანელ ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრ ზვერევთან ნახევარფინალში — 7:6 (6:6-ზე მეორე პარტიაში თამაში შეწყდა ამ უკანასკნელის ფეხის ტრავმის გამო) და ნორვეგიელ კასპერ რუუდთან ფინალში — 3:0!

მოკლედ, თუ მოხდა ის, რაც ძალიან არ გვსურს, პატივი ვცეთ თაობათა კერპის გადაწყვეტილებას და ვაღიაროთ, რომ დიდების მწვერვალზე კარიერის დასრულება ტიტანთა ხვედრია.

დავძეთ, რომ ქალთა ტურნირი ახალმა პოლონელმა დედოფალმა **იგა შვიონტეკმა** მოიგო. ეს იყო მისი ზედიზედ 35-ე გამარჯვება და ასევე მიჯრით — მე-6 ტიტული!

რაც შეეხება წერილის დასაწყისში ჟურნალისტებთან დანიშნულ შეხვედრას, რაფამ გვაუწყა, რომ ტერფის ქრონიკული ტრავმის გამიზეზების გამო საფრანგეთის დედაქალაქში გამაყუჩებლებით თამაშობდა და თუ ჯანმრთელობის პრობლემები კვლავ შეახსენებს თავს, ადვილი შესაძლებელია, არათუ უახლოეს უიმბლდონზე არ იასპარეზოს, არამედ საერთოდ კარიერის შეწყვეტაზე დაფიქრდეს. **მოკლედ, როგორც ვივარაუდეთ, მალე ყველაფერია მოსალოდნელი...**

ეს ჩვენ დაგვემართა!..



ახლა ვერავინ იტყვის, მისი ფასი არ ვიცოდითო.
როგორ არ ვიცოდით?!
ეს კი შეიძლება, ვთქვათ:
თვითონ არ იცოდა!
ეს – არაფერი!
ფიროსმანმა იცოდა?!
„არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა“...

* * *

წუხელ ვუყურებდი და ვუსმენდი საზოგადოებრივი მაუწყებლის „აუტანელ სიმსუბუქეს“...
რა მძიმე იყო თემურ ჩხეიძის აზრები!
მაგრამ...
ნახეთ, რა თქვა?!
დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარო.
აბა „გუშინდელნი“ რა იყო?!
სპექტაკლი, რომელზეც სულ ახლახან თქვა რობერტ სტურუამ – შემშურდაო?!
განა შესაძლებელია, რობერტ სტურუას რომელიმე რეჟისორის რომელიმე სპექტაკლი შეშურდეს?!
გნებავთ – აქ და გნებავთ – მთელს მსოფლიოში?!
მაგრამ ამით ხაზი გაუსვა თემურ ჩხეიძის დიდ რეჟისორობას.
დიდს დიდისა არ ეშინია.

* * *

დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარო?!
აბა რა იყო „ჯაყოს ხიზნები?!“
ჯერ – ტელევიზიაში,
შემდეგ – მარჯანიშვილში.
რა ისმოდა სცენიდან და ეკრანიდან?!
„მარქსისტები ერთ რამეში მაინც არ ცდებოდნენ“...
ანუ?!
სხვა ყველაფერში ცდებოდნენ?!
„მე იმას მავშვებს ვერ ვასწავლი, რაც თვითონ არ მჯერა“-ო?!
მეორე კურსის სტუდენტი ვმონაწილეობდი „ჯაყოს ხიზნების“ სატელევიზიო განხილვაში.
იქ იყო ხალხი, რომელიც რეჟისორს მიხეილ ჯავახიშვილის ბედისთვის იმეტებდა.
მაშინ მივხვდი, რა იყო ოცდაჩვიდმეტი.

* * *

დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარო?!
ანზორ ერქომაიშვილიც ასე ამბობდა – მოღვაწე არა ვარო(?!).
არა, ამ დიდებს ვერაფერს გაუგებ.

* * *

თემურ ჩხეიძეს, ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიური თეატრის რეჟისორად მიიჩნევენ.
ზოგი ამაზე დავობს – ასეთი თეატრი არ არსებობსო.
მაგრამ რა დროს დავაა?!
თემურ ჩხეიძეს ვეთხოვებით.
ერთი დანამდვილებით ვიცი:
თემურ ჩხეიძის თეატრი ზედმიწევნით უპასუხებდა ილიას მოთხოვნას:
„ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვთხოვთ“...
ენა და ზნეობაო!

* * *

და კიდევ:
ერთია რეჟისორი, მაგრამ ვინ შეცვლის თემურ ჩხეიძეს – პედაგოგს?!

* * *

ვაი, რომ ასეთი დაუნდობლობით გრძელდება ჩვენი გაღარიბება...

* * *

რამდენიმე წლის წინათ, ინტერვიუში იხუმრა, უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ მოვკვდე, არავინ იკითხავს, რა მოუვიდაო?!
აქ კი შეცდით, ჩემო ძვირფასო მატონო თემურ:
ქართული ენისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივმა პედაგოგმა ქეთევან ძაგნიძემ თქვენი გარდაცვალების ამბავი ფეისბუქში ასე შეიცხადა:
„ვაიმე, რა დაემართა?!“

* * *

ეს ჩვენ დაგვემართა!..

იოსებ ჟუმბურიძე

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის წევრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თაობათა აღმზრდელი, პროფესორი

კონსტანტინე (კოტე) რამიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 9 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: დიდი დილომი, VI კვარტალი, VI კორპუსი, VII სართული.

ჭკადუაშის ღირსეული შვილი



უახლოესი მეგობრები – **ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიბაძია, ოთარ ჭითანავა, ალენ მიურატი, გიორგი ყუფუნია, იგორ ძობალია, გურამ გუნავა, ნუგზარ ანთელავა, ზაურ ჯინჭოლავა, ანზორ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, გურამ ფიფია, მურმან ნაჭყებია, თენგიზ შანავა, ვაჟა ფიფია, მურთაზ ბოკუჩავა, ოთო ჭითანავა, კობა ანთია, ბადრი გულორდავა, ვახტანგ ანთია, გიორგი ჭითანავა, დავით ჭითანავა, იუზა ყუფუნია, კონსტანტინე მანია, გრიგოლ ანთია, ომიანე ნაჭყებია, იური ნაჭყებია, ჯონი ჭითანავა, ზვიად ჭითანავა** და საზოგადოება „ჭკადუაშის“ წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი სამეურნეო დარგის ყოფილი ხელმძღვანელის, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მოღვაწის, სოფელ ჭკადუაშის ღირსეული შვილისა და დიდი მოამაგის

ზაურ ნაჭყებიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, სანათესაოსა და სოფელ ჭკადუაშის მცხოვრებლებს, რომელთა ხსოვნაშიც მარად დარჩება ამ უკეთილშობილესი პიროვნების სახელი.

სასრულიდან უსასრულობაში

დაბადებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ადამიანის მიერ განვლილ გზას, მისივე ცხოვრების წესის სახელი თავისთავად და რაც მთავარია, ყოველთვის შეუმცდარად ერქმევა ხოლმე. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება. ამ დაუწერელ კანონს ღვთაებრივი კანონი ჰქვია.

ლია შარაშენიძე!

პირმცინარი. მზრუნველი. მოსიყვარულე. ტაქტიანი – დიდი ადამიანი!

წავიდა და... წავიდა ისე, რომ სამუდამოდ დარჩა. დარჩა, როგორც სინათლე, როგორც გზა.

კაცობრიული გამოცდილება პიროვნულ გამოცდილებათა კრებულია, თაობიდან თაობაში უწყვეტად გარდამავალი, როგორც სულიერობის ზეიმი, როგორც სიცოცხლე, როგორც მარადიულობა!

ყოველდღიურობაში ყოფითთან, წარმავალთან შეხების მომენტი მადლად მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება, თუ მას შინაგანი სიწრფელით, ანუ სიყვარულით შევეხებით. ასე ხვდებოდა ლია ყველას და ყველაფერს – სულიერსა თუ უსულოს, დიდსა თუ პატარას, ტკივილსა თუ სიხარულს... და სწორედაც, აქედან გამომდინარე, ახლა საქვეყნოდ მინდა ვუთხრა, რომ მისგან ბევრს, ძალიან ბევრს ვსწავლობდი! მან თავისთან შემხებლობაში მყოფი ყველა და ყველაფერი აბედნიერა: ოჯახი, მოწაფეები, სტუდენტები, მეგობრები... ფალიაშვილის 75-ში პატარა ეზოს ყვავილები, ვაზის მომცრო ხეივანი, ტანაყრილი ხეები...

მაკონსტრუირებელ ენერგიას ყოვლისმომცველი სიყვარული ჰქვია, რომელიც აერთიანებს, ნაწილებს მთელად გადააქცევს. ლიამ ჩვენ, სხვადასხვა წრის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები ერთ სამეგობრო სითბოდ შეგვკრა. საბავშვო ბაღის მეგობრები, თანაკლასელები, ნათესავები, ქმრის – ჯონი ჩხენკელის მთელი სამეგობრო, შვილების – ბაკურისა და ირინას საახლობლოც კი ახლა ერთად ვართ, ერთიანია ჩვენი ლხინი და ჩვენი განსაცდელი.

მადლობა ყველაფრისთვის, მადლობა, ლია! ღმერთის სიყვარული თვითპატივისცემიდან იწყება, რასაც ყოფით ენაზე ღირსებას ვუწოდებთ. ამ დროს დგება შენში არსებული ღმერთის მიგნება, ცხადია, შენ მიერვე, შენივე ცხოვრებისეული პრინციპებით. მხოლოდ ამ აქტით ხდება გაადამიანება, ანუ პოტენციური ადამიანის რეალურ ადამიანად ჩამოყალიბება. ლიას ცხოვრებას ამიტომაც ჰქვია გზა. ამ გზაზე მავალის მზე ათბობს და აშუქებს ყველას, როგორც „სწორად“ მომფენი და მიმზიდველი, როგორც კეთილის გამმრავლებელი.

ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობისთვის ერთმანეთთან შეუხმიანებლობის დღე იშვიათი გამონაკლისი იყო. ახლაღა აღმოვაჩინე, რომ საუბრის დასრულებისას დამშვიდობების გამომხატველი სიტყვები არც არასოდეს არ ყოფილა, ჩვენგან იგი არასდროს არ წარმოთქმულა.

ამჯერადაც!

ლია, არ გემშვიდობები...

ნანა ჩაჩუა

ზაურ ნაჭყებია



ვწუხვართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად, 82-ე წლის ასაკში გარდაიცვალა ყოველმხრივ სიკეთით და ზნეობით შემკული კაცი, დამსახურებული და ღვაწლმოსილი პიროვნება, სახელმწიფო და სამეურნეო დარგის ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკი, ჩვენი ძმა და მეგობარი ზაურ ნაჭყებია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფელ ჭკადუაშის საზოგადოებას, ოჯახს და მეგობრებს შეალია.

მშვიდობით, ნათელში ყოფნა და არდავიწყება იყოს შენი, ზაურ!

„საჯიმალო“:

მერი გაბედავა-ჯალალონია, ინგა ჭეჟია-ჯიძია, გივი ხაზალია, გურამ ფიფია, ჯამგულ გადელია, რევაზ გოგოხია, გენადი ჯიძია, სოსო სამუშია, დემურ ჭანტურია, ვაჟა ფიფია.

თენგიზ ძავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მერაბ გურული, ზურაბ ფოჩხუა, თემურ კუჭუხიძე, მიხეილ სალაძე სამძიმარს უცხადებენ გია, ნანა, ვაჟა ბაკურაძეებს დედის

ჟუჟუნა ილარიონის ასული ბაკურაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.



BLACK SEA ARENA ახალი სეზონისთვის ემზადება

Black Sea Arena ახალ სეზონზე მსმენელს რამდენიმე სიახლით ხვდება. 15 აგვისტოს Black Sea Arena-ს წინ მოწყობილ სცენაზე ფრანგულ პოპბენდს – „იმპერატრისის“ უმასპინძლებენ. კონცერტის შემდეგ დაგეგმილი წვეულება კი, სოციალურ სივრცეში გაიმართება.

ეკომეგობრულ გარემოში მსოფლიო არტისტები 6 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით წარდგებიან.

ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა არწივის კანიონზე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილთან ერთად, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, არწივის კანიონზე შესრულებული ეკოტურისტული სამუშაოები დაათვალიერა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, არწივის ხეობაში დამატებითი ეკოტურისტული სივრცე მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და გადასასვლელი ხიდებით. 1 კილომეტრამდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკი კანიონის სიღრმეს მიუყვება, საიდანაც რამდენიმე ჩანჩქერის მონახულებაა შესაძლებელი. არწივის კანიონის ახალ საფეხმავლო ბილიკზე, სუბტროპიკულ გარემოში მოგზაურობა ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით შთამბეჭდავია.

არწივის კანიონი ულამაზესი ლანდშაფტებით გამორჩეული ბუნების ძეგლია, რომელიც ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებს განსაკუთრებულ სანახაობას სთავაზობს. აქ ბუდობს მტაცებელ ფრინველთა მრავალი სახეობა, მათ შორის ორბი, სვავი, ფასკუნჯი. ხეობის კლდოვანი ფერდობებიდან შესაძლებელია ორბების ბუდეებისა და იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეების ნახვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგან არსად გვხვდება.

ამაღლების შემდგომი ოთხშაბათი ღირსი მამის დოდო გარეჯელის ხსენების დღეა

8 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დოდო გარეჯელს, ის იყო დოდორქის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი.



ცნობილია, რომ, თურმე დავით გარეჯელმა უბრძანა თავის მოწაფეს დოდოს: **„წარველ, ძმაო რქასა ამის კლდისასა, რომელ წადიერ არიან, რაითა გარე ირჯებოდიან, ხორცითა სულთა მათთთა ცხოვრებისათვის... „ერჩდა ბრძანებასა მისსა წმიდაი დოდო წარვიდა და აღაშენნა უდაბნოი იგი სახელს ზედა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისასა... დღითი დღე შეეძინებოდა სიმრავლე ძმათა“.**

დავითის მონასტერში შემოკრებილმა მონაზონთა სიმრავლემ დავითს გადააწყვეტინა ახალი მონასტრის აშენება.

რა უნდა ურჩიო ასეთ მშობლებს!..

მომავალ მშობლებს ხშირად სურთ, შვილს ბებიის, ბაბუის ან ოჯახის სხვა საყვარელი წევრის სახელი დაარქვან, თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც ყველაზე მეტად საკუთარი შინაური ცხოველები და მათი სახელები ეძვირფასებათ.

ბრიტანული Mirror-ი წერს ორსულ ქალზე, რომელსაც პარტნიორმა დიდი საფიქრალი გაუჩინა – ბიჭს სურს, შვილს საკუთარი კატის სახელი დაარქვას. ქალი ამას ძალიან განიცდის და ინტერნეტ-მომხმარებლებს სთხოვს, ურჩიონ, როგორ მოიქცეს. ქალი აღნიშნავს, რომ არც კატის სახელს – მაქსს ერჩის რაიმეს, თუმცა, ვითარებას ის ამძიმებს, რომ მის შეყვარებულს კატა სახელად „მაქსი“ ყოფილ საცოლესთან თანაცხოვრებისას ჰყავდა, დაშორების შემდეგ კი, გოგომ კატა თან წაიყვანა.

ომს დელფინებიც ეწირებიან

უკრაინაში რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის გამო, შავ ზღვაში ათასობით დელფინი დაიღუპა. იტყობინებიან მეცნიერები, რომლებიც შავი ზღვის ეკოსისტემას სწავლობენ და აკვირდებიან.

უკრაინის ტუზლოვსკის ეროვნული ბუნებრივი პარკის კვლევითი დირექტორის, ივან რუსევის ინფორმაციით, მკვდარი დელფინები რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის უკრაინის, ბულგარეთის, თურქეთისა და რუსეთის სანაპიროებზე ირიყებიან. ივან რუსევის განმარტებით, დელფინები იღუპებიან სამხედრო მოქმედებების შედეგად, მათ შორის ბომბებისა და ნაღმების აფეთქებით.

„ომის გამო, შავი ზღვის დელფინების ბედი ძალიან სამწუხაროა, მათი პოპულაციის აღდგენას ძალიან დიდი დრო დასჭირდება“, – ამბობს რუსევი. ამასთან, რუსევის თქმით, საომარი მოქმედებების გამო, დელფინებს დაერღვათ ნავიგაციის უნარები, რის გამოც საკვების პოვნა აღარ შეუძლიათ.

სროლები ამერიკაში

ორ დღეში – შაბათსა და კვირას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მასობრივი სროლების დროს, 10-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

მედიასაშუალების ცნობით, დაშავებულია 60-ზე მეტი პირი.

„მსხვერპლთა ნაწილი სავაჭრო ცენტრში, ღამის კლუბში, პოპულარულ გასართობ უბანში ან საშუალო სკოლის გამოსაშვებ წვეულებაზე იმყოფებოდა“, – წერს CNN-ი. მედიასაშუალება აქვეყნებს ყველა შემთხვევის ნუსხას, რომლის მიხედვითაც, 2 დღეში 14 ადამიანია მოკლული. მიმდინარე წელს აშშ-ში სულ მცირე 246 მასობრივი სროლა იყო.

როცა უცხოსაც დაეჯერება

აშშ-ში, მიჩიგანის შტატში, 54 წლის ქალმა და მისმა მეუღლემ 44 მილიონი მოიგეს.

ამ ამბავში, გასაოცარი მხოლოდ კოლოსალური თანხა იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება – იდუმალი უცნობი.

„მე და ჩემი მეუღლე ბენზინგასამართ სადგურზე გავჩერდით. როდესაც თანხის გადასახდელად, მაღაზიასთან რიგში ვიდექით, ჩვენთან მოვიდა ერთი ადამიანი და გვითხრა: „თქვენ უნდა იყიდოთ ლატარიის 430-იანი ბილეთი და გარწმუნებთ, 44 მილიონს მოიგებთ“, – ამბობს ქალი. ავტომობილისკენ მიმავალმა წყვილმა ბილეთი გადაფხიკა და გაოცებულები დარჩნენ, როცა ნახეს, რომ ზუსტად ის თანხა მოიგეს, რომელიც უცნობმა უთხრა.

„გვეგონა, რომ შეცდომა იყო. სახლში მისულებმა კიდევ ერთხელ შევამოწმეთ, ვიდრე არ დავრწმუნდით იმაში, რასაც ბილეთზე ვხედავდით“, – იხსენებს გამარჯვებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 10 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9624; ევრო - 3.1772
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7175;
100 რუბლი - 4.8061; თურქული ლირა - 0.1800;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7471;
1000 სომხური დრამი - 6.8167.

ამინდი 8 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge